

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოლენა ქურცუა

სინტაქსური ექსპრესია და რთული სინტაქსური კონსტრუქციები
ნიკო ლორთქიფანიძის პროზის მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართველური ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი ვიანორ ახალაია

გორი

2021

ანოტაცია

ყოველი მწერლის ენა გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება. უკანასკნელ დროს ქართულ სინამდვილეში ყურადღება დაეთმო მწერალთა ენის მონოგრაფიულ შესწავლას. ადრე მხატვრული სიტყვის ოსტატთა ტხზულებიდან ამა თუ იმ ენის მიმომხილველებსა და გრამატიკაში იმოწმებდნენ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული ენა იყო კვლევა-ძიების სფერო, ვიდრე კონკრეტულად მწერლის ენა.

მწერლის ენის დაწვრილებით ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისთვის, ამიტომაც ნაშრომში დასმული საკითხები მნიშვნელოვანია და აქტუალური.

ნაშრომში „სინტაქსური ექსპრესია და რთული სინტაქსური კონსტრუქციები ნიკო ლორთქიფანიძის პროზის მიხედვით“, დადგენილია ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა, გამოვლენილიაარაერთი სხვაობა მწიგნობრულ-ლიტერატურულ და სასაუბრო ლიტერატურულ ენებს შორის. რაც მთავარია, წარმოჩენილია ნ. ლორთქიფანიძის ენის გრამატიკულ-სტილისტიკური, ლექსიკური, განსაკუთრებით სინტაქსური თავისებურებანი, რომლითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისგან. ამ მხრივ მწერლის ენა შესწავლილია. ამიტომ ნაშრომში დასმული საკითხები აქტუალურია და არის სიახლე.

საკვლევ საკითხს შევისწავლით ენათმეცნიერული მეთოდით.

ნაშრომი მოიცავს: ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, 2 თავს, 29 ქვეთავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

Summary

The language of each writer is characterized by a certain individuality. Recently, the Georgian reality has focused on the monographic study of the language of writers. At the last time, in the Georgian reality, attention was paid to the monographic study of the language of writers. Previously, from the works of the masters of artistic word were examined by the reviewers of various languages and phonetic, morphological, and syntactic features in grammar, but in this case some language was research field, rather than the language of the particular writer.

To solve problematic issues in the history of literary language, particular analysis of the writer's language has a special importance. Therefore, the issues raised in the work are important and topical.

In the work "Syntactic expression and complex syntactic constructions according to the prose of Niko Lortkipanidze" the signs that are characteristic of the language of Niko Lortkipanidze's work is identified, is an indicator of its specificity, numerous differences between writing-literary and colloquial literary languages have been revealed. Most importantly, the grammatical-stylistic, lexical, especially syntactic features of N. Lortkipanidze's language are presented, which distinguishes it from other contemporary writers. The language of the writer has not been studied in this regard, so the issues raised in the work are relevant and novelty.

We study the research issue by the linguistic method.

The work includes: summary in Georgian and English languages, 2 chapters, 29 sub-chapters, conclusion and list of used literature.

სარჩევი

1. ანოტაცია
2. სარჩევი
3. შესავალი
4. I თავი
 1. სინტაქსური ექსპრესია, ნომინატიური წინადადებები
 2. უკავშირო შეერთების ექსპრესიული ფორმები
 3. სიტყვა-სტრიქონი
 4. ტირეს სტილური დატვირთვა
 5. დიალოგურ მეტყველებაში ფრაზათა ინტონაცია და სინტაგმატიკა
 6. უზმნო ფრაზები სტილური ფუნქციი
5. II თავი
 1. რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადება
 2. რთული წინადადება
 3. კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება
 4. დამოკიდებულ წინადადებათა ადგილი
 5. დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები
 6. დამატებით დამოკიდებული წინადადება
 7. პირდაპირდამატებით დამოკიდებული წინადადება
 8. ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება
 9. უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება
 10. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება
 11. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
 12. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
 13. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
 14. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
 15. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება
 16. სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები

17. პირობითი დამოკიდებული წინადადება
 18. შედეგობით დამოკიდებული წინადადება
 19. დათმობითი დამოკიდებული წინადადება
 20. რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებიანი რთული ქვეწყობილი წინადადება
 21. თანამიმდევრული დაქვემდებარება
 22. სახელდებითი წინადადება
 23. ზერთული წინადადება
6. დასკვნა
 7. გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ენა არის სპეციფიკური გამომსახველობითი მასალა, რომლის მეშვეობით მწერალი ახორციელებს სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვას. ამ დროს ხდება ენობრივი მასალის სახეცვლილება და ამიტომაც ყოველი მწერლის ენა გარკვეული ინდივიდუალურობით ხასიათდება. შემოქმედი, ჩვეულებრივ, ენას თავისებური სახით იყენებს, თავისებური გამომსახველობითი შინაარსით, ემოციური და ესთეტიკური გარდასახვით ავლენს, რაც ამასთანავე მხატვრული ენის ზოგადი არსის, კანონზომიერების თავისებურ გამოხატვასაც წარმოადგენს. მხატვრული ენა მხატვრული ქმნილების ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური კომპონენტია, მაშასადამე, შემოქმედებითი მოვლენაა და, ამავე დროს, ყოველი ეროვნული ენის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.¹

მწერლის ენის დაწვრილებით ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისთვის, როგორც ა. შანიძე წერს: „მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიც მწერალი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე.ი. თუ შესწავლილია მისი ენა.² ამიტომაც ნაშრომში დასმული საკითხები აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია: დადგინდეს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ნ. ლორთქიფანიძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა, გამოვლინდეს არაერთი სხვაობა მწიგნობრულ-ლიტერატურული და სასაუბრო-ლიტერატურულ ენებს

¹ ვ. ახალაია, უიარაღოს თხზულებათა ენა და სტილი, თბილისი, 2004, გვ. 126

² ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, 1972, გვ. 77

შორის. რაც მთავარია, წარმოჩენილ იქნეს ნ. ლორთქიფანიძის ენის გრამატიკულ-სტილისტიკური, ლექსიკური, განსაკუთრებით სინტაქსური თავისებურებანი, რომლითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისგან. ამ მხრივ მწერლის ენა მონოგრაფიულად არ შესწავლილა. ამიტომ ნაშრომში დასმული საკითხები აქტუალურია და არის სიახლე.

უკანასკნელ დროს ქართულ სინამდვილეში ყურადღება დაეთმო მწერალთა ენის მონოგრაფიულ შესწავლას. მართალია, ადრე მხატვრული სიტყვის ოსტატთა თხზულებიდან ამა თუ იმ ენის მიმომხილველებსა და გრამატიკაში იმოწმებდნენ ფონეტიკური, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული ენა იყო კვლევა-ძიების სფერო, ვიდრე კონკრეტულად მწერლის ენა. მწერლის ენის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლას რამდენიმე შრომა მიეძღვნა. მხედველობაში გვაქვს დ. გეწაძის სადოქტორო დისერტაცია: „სულხან-საბა ორბელიანის ენა“, ნ. გოგუაძის „გრიგოლ ორბელიანის ენა“, ო. ურიდიას „გიორგი ერისთავისა და მის კომედიათა პერსონაჟების ენა“, ე. კოშორიძის „ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით“, ვ. სერგიას „ქართველ ხალხოსანთა ენა“, ი. ქეშიკაშვილის „თ. რაჭიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ენის გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი“, შ. ფუტყარაძის „შალვა დადიანის ენა და სტილი“, თ. ინჯიას „კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ ენა და სტილი“, თ. ზვიადაძის „დ. კლდიაშვილის ენა და სტილი“ და სხვ.

მწერლის სტილი, მისი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომელიც მას სხვა მწერლებისგან განასხვავებს, ყალიბდება ამ ენობრივ შესაძლებლობათა მიხედვით და ცალკეული პიროვნების მიერ ამ შესაძლებლობათა გამოყენების უნარის შესაბამისად. „სიტყვიერი მასალა, რომლის ფორმათა მრავალფეროვნების შესაძლებლობაა მოცემული, გარკვეულ სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ ადამიანი რას აირჩევს, როგორ ფორმას მისცემს

უპირატესობას, როგორ სახეობაზე შეჩერდება, რათა სიტყვიერად გამოხატოს გადმოსაცემი შინაარსი“.³

საკმაოდ რთულია ნიკო ლორთქიფანიძის სტილში გარკვევა, მისი აზრის სიღრმის განჭვრეტა, ქვეტექსტების ამოცნობა, ერთი სიტყვის მიღმა აზრთა და განცდათა ამოკითხვა.

ნ. ლორთქიფანიძე კლასიკური მწერლობის პატივისმცემელი და მისი ჰუმანური ტრადიციების გამგრძელებელია. იგი აღმერთებდა ილია ჭავჭავაძეს; როცა ოცდაათიან წლებში ილიას სახელის შებღალვას ლამობდნენ, მწერალმა საკადრისი პასუხი გასცა მათ.

დავით კლდიაშვილთან მას შემოქმედებითი ნათესაობა აკავშირებს - მისი „დანგრეული ბუდეები“, „რუმბი“, „ფეოდალები“ კლდიაშვილისებური ინტონაციების შემცველია და ისინიც „შემოდგომის აზნაურთა“ ცხოვრების ნგრევას ასახავენ. მაგრამ ეს თემატიკური იდენტურობა მკითხველის მიერ განსხვავებულად აღიქმება: კლდიაშვილთან - ცრემლნარევი სიცილით, ლორთქიფანიძესთან - ღრმა სინანულით.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ახლოსაა შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის, ვასილ ბარნოვის შემოქმედებასთან, ხოლო მისი ისტორიული ამბების პერსონაჟთა არაისტორიულობა - უიარაღოს „მამელუკთან“, მაგრამ ფორმა და სტილი ნიკოსი განსხვავებულია, იგი ერთადერთია: წყვეტილი თხრობა, ლაკონური, ტევადი ფრაზები, ქვეტექსტური, ნერვიული, დამაბული რიტმი...

ქართულ კლასიკურ მწერლობაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას. ითვლება, რომ იგი მემკვიდრეა „სამოციანელებისა“, მაგრამ მან მონახა საკუთარი გზა და დამოუკიდებელ პროზაიკოსად მოგვევლინა. „თავსაფრიანი დედაკაცის“, „ტრაგედია უგმიროდ“, „დანგრეული ბუდეების“, „რანდების“, „ჟამთა სიავის“ და მრავალი სხვა ფსიქოლოგიური ნოველის ავტორი მიაჩნიათ დ.

³ გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 32

კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის შემოქმედების მემკვიდრედ, თითქოს მის შემოქმედებაში მათი ინტონაცია ისმის.

ქართულ მწერლობაში ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ნოვატორულია, მან შექმნა თავისთავად თვითმყოფადი, ორიგინალური პოეტური სამყარო. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ბელეტრისტიკაში ეპიკურ თხრობას, შემოქმედებას, სურათებისა და ეპიზოდების ხატვა, ფენომენალური ასახვა ყოფისა დაუპირისპირა. წინადადებათა ინტონაციურ მხარეს მეტი აზრობრივი დატვირთვა მისცა, მკითხველს ქვეტექსტი შესთავაზა. „მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაუთმო ფანტაზიისთვის, შემოქმედებისთვის... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება კი ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს.“ -წერდა მწერალი. მან ამ ესთეტიკურ-თეორიული პრინციპის მხატვრული რეალიზება, მისი პრაქტიკული განხორციელება შეძლო. ამდენად, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სამყაროს საფუძვლიანად აღსაქმელად დახვეწილი გემოვნების მქონე მკითხველი სჭირდება.

ნ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთი შესანიშნავი ნოველა „საფლავის ვარდი“ მწერლის პიროვნების გასაცნობად საინტერესო მასალას გვაძლევს. „და ეს თოვლ-ჭყაპი, ეს ნისლი, ქარი, თვით მე მიმზადებს საჩქაროდ საფლავს, მაგრამ არ ვნადვლობ, მივდივარ ნელა, დინჯად მივდივარ კეთილი საქმისთვის. ჩემი სხეული, მიწად ქცეული, გადაიხურავს რა თოვლის საბანს, მოსძებნის ფესვებს უკეთეს ფარდათ- მათ დააპკურებს, მათ უალერსებს, სათუთად გაზრდის გაზაფხულისთვის, და თუ მიხვიდეთ ჩემს სანახავად, ვარდს ნუ მიიტანთ, ცრემლს ნუ დაღვრით - მოსწყვიტეთ ვარდი საფლავის ბუჩქებს, დაყნოსეთ, დატკბით და გაიხარეთ. მხოლოდ ამას გთხოვთ - ნუ გამიხსენებთ“.

ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები, თანამედროვენი დიდი სიყვარულით იხსენებენ მას, „დიდ ქართველს“ და „ბუნებით ბატონს“ (პაოლო იაშვილი,

ექსპრომტად გამოთქმული ლექსი), „ადამიანს, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებ“ (ვ. ნადირაძე).

აღსანიშნავია, რომ სრული და უხვი ბიოგრაფიული მასალა ნ. ლორთქიფანიძის შესახებ არ მოგვეპოვება. ესეც მწერლის ბუნებით, მისი სიტყვაძუნწობით, მოკრძალებული ხასიათით უნდა აიხსნას. ცოტაა პირადი წერილებიც.

მწერლის მოკრძალებულობას გვიჩვენებს დიდი სიყვარულით დახატული მისი პორტრეტიც:

„დაღლილი და სევდიანი თვალები, თბილი ღიმილი, ზოგჯერ ირონიის გამომხატველიც, მაგრამ ყოველთვის მიმზიდველი, გრძელი თითები, ზომიერად ტანმადალი, მუდამ ფაქიზად ჩაცმული, თავისებური და „შეუცნობელი“. პრინციპული, კეთილშობილი, ზომაზე მეტად ხელგაშლილი, მაგრამ გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი, გარეგნულად მშვიდი, სინამდვილეში მღელვარე სულის მატარებელი, უკომპრომისო, მოკრძალებული, მაგრამ შეუვალი და გაბედული, ადამიანებთან უბრალო, უაღრესად თავაზიანი და ღირსეული“.⁴

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას მრავალი მკვლევარის ნაშრომი მიეძღვნა:

ვ. ცისკარიძე - უახლესი ქართული ლიტერატურის საკითხები - ნ. ლორთქიფანიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა - 1972წ. გვ. 334-423.

ბ. ჟღენტო - ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა - ნიკო ლორთქიფანიძის რჩეული თხზულებანი ტ. II, 1953. გვ. 179-513

დ. ბენაშვილი - ნიკო ლორთქიფანიძე - ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა სრული კრებულის წინასიტყვაობა, 1958წ.

ნ. ღამბაშიძე - ნიკო ლორთქიფანიძის მნატვრული სტილის თავისებურებანი. თბ. 1980წ.

⁴ ვ. აბრამიშვილი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, ნიკო ლორთქიფანიძე, ნაკადული, თბ. 1977, გვ. 36

ასევე აღსანიშნავია კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, კ. ნადირაძის, დ. შენგელიას წერილები, ს. კლდიაშვილის „მოგონებები“, შ. დადიანის „რაც გამახსენდა“. ყველა მათგანი ლიტერატურათმცოდნეობის კუთხით აფასებს მწერლის შემოქმედებას, ხოლო ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მწერლის ენისა და სტილის მიხედვით მისი შესწავლა მწირია.

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა: „საჭირო იყო ქართული სიტყვის განახლება, სიტყვისათვის ახალი ნაჭედობისა და ჟღერადობის მინიჭება, მოდერნიზება ფრაზისა და თემატური სიახლე. ქვეტექსტის ეს ხელოვნება ჩვენს მწერლობაში ნიკო ლორთქიფანიძის უდიდესი დამსახურებაა. მან შემოიტანა სრულიად ახალი, მაღალი გემოვნების მხატვრული სტილი და წერის თავისებური მანერა. ამ შემთხვევაში ნიკო ლორთქიფანიძე გვევლინება, როგორც ნამდვილი ნოვატორი“.⁵

„ლირიკული ნაკადი პროზაში და ახალი პოეტური ჟღერადობა, რაც დიდად დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძისთვის, განსაკუთრებული სიძლიერით მისი შემოქმედების მეოხებით დამკვიდრდა ჩვენს პროზაში“. - წერს ს. კლდიაშვილი.⁶

„თავისი ბუნებით უფრო პოეტი იყო, ვიდრე ბელეტრისტი“ - აღნიშნავდა კ. ნადირაძე.⁷

მისი ჩანაწერები მეტყველებენ, რომ მხატვრულ პროზაში და ცხოვრებაშიც პოეტი იყო. ნ. ლორთქიფანიძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა გაჟღენთილია არა მარტო დიდი ჰუმანურობით, არამედ გამორჩეულია თავისებური ფორმითაც, რაც ასე განასხვავებს მას სხვა ქართველი მწერლებისაგან: „მე ღამის ადამიანი ვარ, ვით გულისაბა მზის ჩასვლის შემდეგ იწყებს გაშლას და შუაღამისას სრულად გადაიფურჩქნება, ისე მე შუაღამეზე ავამოქმედებ მთელს სულს და ხორციელ ძალას.

მაგრამ მზე მიყვარს, მთვარეზე უფრო მიყვარს...

⁵ კ. გამსახურდია „ლიტერატურული განთიადი“, 1955, 18 ნომბერი

⁶ ს. კლდიაშვილი, „მნათობი“, 1961, N 10.

⁷ კ. ნადირაძე „ლიტერატურული საქართველო“, 1968, 15 მარტი

მაგრამ მზე მინდა სადმე ზღვის პირად, რომ - როგორც ის არის ღია, დაუფარველი, ასე გულღიად გაცარცვილი შევხვდე, არ ვემალებოდე არც მის სიცხეს და სხივები ენონიებდნენ ჩემს ძარღვებში უსაშველოდ, მე მიყვარს სინათლე....“

მწერალს ერთნაირად უყვარს ღამის მწუხრი და დღის სინათლე, ისე, როგორც მისი შემოქმედებაა სავსე სევდით, ამავე დროს არის მზესავით ნათელი.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების, ნოველების და მოთხრობების ემოციური შინაარსი ლირიკული განწყობილების აღნიშვნას ემსახურება. ამ გრძნობების გამოხატვისას ნაწარმოებს ზოგჯერ ლექსისებურად აგებს.

მაშასადამე ნიკო ლორთქიფანიძე ჭკმმარიტი ხელოვანი იყო, მოვლენებისა და საგნებისადმი ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულებით. მან, მართლაც ახალი სიტყვა თქვა ქართულ პროზაში: ახლებურად მიუდგა ტრადიციულ თემებს, მხატვრული განსახიერების ახალი საგანი შემოიტანა ქართულ მწერლობაში და ახალი შესატყვისი ფორმაც გამოუძებნა მას.

საერთოდ, „მწერლობა ენის პროდუქტს წარმოადგენს, რაც განაპირობებს მჭიდრო, აუცილებელ კავშირს მწერლობის შემსწავლელ დარგს - პოეტიკასა და ბუნებრივი ენის შემსწავლელ დარგს - ლინგვისტიკას შორის“.⁸

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდი ლინგვისტიკურია, როგორც ენობრივი სტრუქტურების შემსწავლელი ზოგადი მეცნიერებისა.

⁸ თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003

I თავი

1. სინტაქსური ექსპრესია, ნომინატიური წინადადებები

ნ. ლორთქიფანიძის ფრაზები სტილიზებული, ამასთანავე ზუსტი და ცხადი. მწერალი თავისებურად აგებს ფრაზას, წინადადებას და ცდილობს თავი აარიდოს ტრადიციულ კონსტრუირებას. მისი წინადადება მოკვეთილია და მოქნილი, იგრძნობა შინაგანი რიტმი, ემოციურად დატვირთულ სტილს გვივლენს სახელდებითი წინადადებები, რომლებიც ასე მრავლადაა მის ნოველებსა და მოთხრობებში:

„სამი წელი...“

სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი;

სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი...“⁹⁹

ნიკო ლორთქიფანიძე ზმნებით დატვირთული ფრაზებით ცვლის სახელდებით წინადადებებს და ამით აძლიერებს ემოციურ ეფექტურობას. „თავსაფრიანი დედაკაცის“ მეოთხე თავი სახელდებითი წინადადებებით იწყება, მაგრამ იქვე ამ ნაწილს პროზაიკოსი ისეთი სტრიქონებით აგრძელებს, რომლებიც არა მარტო ზმნათა სიუხვით გამოირჩევა, არამედ იმითაც, რომ აქ გამოყენებული ზმნები გამიზნულ და ინტენსიურ აქტივობას გადმოსცემს.

„...და იგი დადის

პოლიციაში,

სასამართლოში,

მეზობლებთან,

თავმდაბალი,

საჩივრით,

⁹⁹ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 237

მუდარით,
ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე,
გადიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს
თავისას კი მიაღწევს;
ბავშვებს სამართალს მოუნახავს,
დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს,
ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან
მაჭანკლებიც მიუგზავნეს.
„როგორ ვუმტყუნო ობლებს?!“¹⁰

დინამიკურობას აქ ქმნის არა მარტო ზმნები, არამედ ერთსა და იმავე ბრუნვაში მიჯრით „მიწყობილი“ სახელებიც, რომლებიც ამ მონაკვეთს თავისებურ რიტმულობასაც ანიჭებენ. ყველაფერი ეს ერთად - კონტრასტი სახელდებითსა და ზმნებით დატვირთულ სტრიქონებს შორის, წინადადებათა ხანმოკლე, უეცრად მოზღვავებული ზმნები, რიტმთა ნაირსახეობა და თხრობის სწრაფი ტემპი - ნ. ლორთქიფანიძის ნოველას უკიდურეს დინამიკურობას ანიჭებს.

აზრები შეკუმშულია და ლაკონური, მოკლე ფრაზებშია გამოხატული. ეს აღწერის უჩვეულო დინამიზმს ქმნის. მოჩვენებითი სიმარტივისა და უკიდურესი ლაკონიზმის მიღმა დრმა აზრები იმალება. ჩნდება თავისებური სინტაქსი, პუნქტუაცია, აზრები, სტრიქონების უჩვეულო გრაფიკული განლაგება...

„თმაგაშვებული ქალები...“

ზარი...

ფლავი...“¹¹

¹⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 239

მწერალმა ამ ნაწარმოებში გვიჩვენა, რა მდიდარი სტილისტური შესაძლებლობები მოეპოვება სახელდებით, ნომინატიურ წინადადებას; როგორ ექსპრესიულად, ტევადად და მრავალმნიშვნელოვნად გადმოიცემა მისი საშუალებით ვრცელი ამბავი, გმირის განცდები...

2. უკავშირო შეერთების ექსპრესიული ფორმები

ნიკო ლორთქიფანიძე უკავშირო შეერთების ახალ ექსპრესიულ ფორმებს აქტიურ სტილისტიკურ-გამომსახველობით საშუალებად აქცევს. თითქოსდა და იგნორირებულია მაქვემდებარებელი კავშირები, სამაგიეროდ ფართოდ ხმარობს „და“ კავშირს და განსაკუთრებული ემოციური ფუნქციაც ენიჭება:

„ნამალევად შორიდან დაანახა ქალი; მოაწყო „ქალის ნახვა“ და მიაცემინა შარნა;

და მერე?“¹²

3. სიტყვა-სტრიქონი

„თავსაფრიანი დედაკაცის“ თავისებურება ისიც არის, რომ იგი დაწერილია პროზისათვის უჩვეულო ფორმით, რომელიც გარეგნულად, ვიზუალურად ლექსივით აღგვაქმევინებს ტექსტს. ისევე, როგორც ლექსში, ამ ნოველაში ხშირად აბზაცი მოიცავს დაუმთავრებელ წინადადებას, ცალკეულ სიტყვას. მკითხველს უნებურად, თავიდანვე ისეთი განწყობილება ეუფლება, როგორც ლექსის კითხვის დროს. რიტმულობის

¹¹ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 238

¹² ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 236

ეფექტს ნიკო ლორთქიფანიძე, პირველ ყოვლისა, სინტაქსური პარალელიზმის ხერხის მოხმობით აღწევს:

„და განგებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორით ადგენდა სიას...“

სვეს

იცეკვეს

არა მარტო გოგო-ბიჭებმა,

მოხუცებულებმაც

დაიშალნენ სტუმრები

აბლავდნენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი“.¹³

ამ მონაკვეთს უშუალოდ მოსდევს აბზაცი, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებს წინას:

„ეზოზე ჩოჩიალა ურემმა გადაიტანა ნაჭი, საბანი, ლეიბი, ხორაგი.

გადავიდნენ 60 მანეთით დატვირთული სიძე, მაცრები, რომ ახალ ადგილას

ეცეკვათ,

ესვათ

არა მარტო გოგო-ბიჭებს,

არამედ მოხუცებულებსაც,

დასახლდნენ, დაფუძნდნენ“.¹⁴

ამ შემთხვევაში სინტაქსური პარალელიზმის იშვიათ მაგალითთან გვაქვს საქმე, ფიქსირდება არა მარტო წინადადებათა მსგავსი კონსტრუქციები, არამედ ძალზე მიახლოებით, ან მთლიანად მეორდება სიტყვები და გამოთქმებიც კი.

თხზულების თავისებური არქიტექტონიკა, უკიდურესი ლაკონიურობა, მაქსიმალურად შეკუმშული თხრობის მანერა, ემოციურად დატვირთული ქვეტექსტები, ინტონაციური მახვილების ხაზგასმა, რიტმულობა, როგორც შინაგანი დამაბულობის ტალღისებური, პერიოდული აღზევება და დაწევა

¹³ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 237

¹⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 237

და ამასთანავე საგანგებო ლექსიკური საშუალებანი განაპირობებენ „თავსაფრიანი დედაკაცის“ ემოციურ სიმძაფრეს.

ყოველი სიტყვა-სტრიქონი აღიქმება როგორც მთელი, როგორც სამეტყველო ნაკადის პოეტური სეგმენტი. მწერალმა შესანიშნავად იცის ცალკე სტრიქონებად გამოყოფილი ერთი ან რამდენიმე სიტყვის ფონეტიკურ-ინტონაციური და ექსპრესიული შესაძლებლობანი.

„იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ, და იგი დადის

პოლიციაში,

სასამართლოში,

მეზობლებთან,

მამასახლისთან,

თავმდაბალი,

საჩივრით,

მუდარით,

ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,

მარკა,

სიშორე,

გადაიფრენს, იშოვის, გადაივლის, გასცურავს, მიიფრენს.

თავისას კი მიაღწევს“...¹⁵

აქ ყოველი სიტყვა-სტრიქონი აღიქმება როგორც მთელი, როგორც სამეტყველო ნაკადის პოეტური სეგმენტი.

პიროვნებისეული განცდები განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა ნ. ლორთქიფანიძის ეროვნულ მოტივზე დაწერილ მინიატურებში: „საქართველო იყიდება“, „მრცხვენია“, „ქრისტე“, „რეკა“, „...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“, „ლიტერატურული სადამო“, და ნოველა-მინიატურაში „გული“. მათში ნაღვლიანი ინტონაციის გვერდით არანაკლები სიძლიერით იგრძნობა ავტორის შეურიგებელი პროტესტის ხმაც, რაც ზოგჯერ საბრძოლო მოწოდებად გაისმის. ასეთი შეურიგებელი პროტესტია

¹⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 239

გამოხატული უსიუჟეტო მინიატურაში „საქართველო იყიდება“, რომელიც ყველაზე უფრო ცხადად მეტყველებს ავტორის, როგორც პიროვნების, ისე შემოქმედის განსაკუთრებულ ტემპერამენტზე. იყიდება საქართველო - ესაა თხზულებაში შემავალი ხუთივე მონაკვეთის ერთადერთი შინაარსი. პირველ აბზაცში ხაზგასმულია, თუ რა იყიდება საქართველოში, მეორეში - ვინ ჰყიდის, მესამეში - სად იყიდება, მეოთხეში - როგორ იყიდება, მეხუთეში გამოხატულია მწერლის ირონიით სავსე მიმართვა: „იყიდეთ!“ კომპოზიციური თვალსაზრისით მწერალი ნაწარმოებს ისე აგებს, რომ ყოველი აბზაცი „ყიდვა“ ზმნით იწყება. საგულისხმოა ისიც, რომ ხუთიდან ოთხ აბზაცში მხოლოდ ამ ზმნას ვხვდებით. ამ გზით მწერალი აქცენტირებას ახდენს სწორედ იმ სიტყვაზე, რომლის შინაარსი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატავს მის მწვავე განცდათა მიზეზს. დანარცენი ზმნები კი თავმოყრილია უკანასკნელ აბზაცში: „იყიდეთ, ბარემ მთლად გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

ამ ტექსტში ჩართული ზმნები, გარდა „ერქვა“ ზმნისა, აქტიური ხასიათისანი არიან და ისინი ზუსტად გამოხატავენ მწერლის სულიერი მღელვარების დინამიკას, „ერქვა“ ზმნა კი, თავისთავად აღებული, აქტიურობისა და ემოციურობისგან სრულიად დაცლილია. მაგრამ ამ კონტექსტში სწორედ იმიტომ, რომ ის წარსულ დროშია მოცემული, ყველაზე უფრო ცხოვლად გამოხატავს საქართველოს იმდროინდელ უსუსურობას და ამით გამოწვეულ მწერლის გულისტკივილს. საზოგადოდ, მინიატურის ბოლო პასაჟი განსაკუთრებული ემოციური დამუხტულობით გამოირჩევა. „იყიდეთ!“ - ეს იმპერიული ფორმა აცოცხლებს „გაყიდვის“ შემზარავ პროცესს და თითქოსდა მის დამსწრედ ხდის მკითხველსაც. გარდა ამისა, ის კიდევ უფრო მაღლა წევს ინტონაციას და საგრძნობლად აძლიერებს პათოსს, რომელიც დასაწყისიდანვე თან დაჰყვება ნაწარმოებს. შემთხვევითი არც ის არ არის, რომ წერტილს მწერალი ემოციათა მაქსიმალური გამოხატვის ადგილას სვამს, რითაც ზრდის ემოციურ ეფექტს.

„საქართველო იყიდება“ მონოლოგის ფორმაშია განხორციელებული. განსხვავებულად მისგან მინიატურებს „...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“ და „ლიტერატურული სადამო“ მკრთალად გამოხატული ფაბულა გააჩნიათ. ამ თხზულებათა წამყვანი პერსონაჟების - ღრმად ლირიკული ბუნების მქონე ადამიანების - ერთადერთ საფიქრალსა და საზრუნავს სამშობლო წარმოადგენს: ზრუნვის გრძნობას მინიატურაში „ლიტერატურული სადამო“ მწერალი ყველაზე უფრო ცხოვლად ერთი, სრულიად უბრალო და ძალზე ლაკონიური წინადადებით გამოხატავს: „მოუარეთ საქართველოს!“

რომელიც რეფრენივით მიჰყვება ტექსტს.

როგორც მიუთითებენ, რამდენადმე უფრო გამოკვეთილად ჩანს სიუჟეტი ნოველაში „გული“. ამ ნაწარმოებს ნ. ლორთქიფანიძე მეტად ორიგინალურად აგებს: პერსონაჟი, რომლის გარშემო იშლება სიუჟეტი, ნოველაში შემოდის, როგორც გარდაცვლილი ადამიანი. ნოველის პირველი აბზაცი, რომელიც ერთადერთი სიტყვისგან შედგება, ასე იკითხება: „მოკვდა“. ავტორი თხრობას იწყებს ისეთი ფაქტის დასახელებით, რითაც უმეტეს შემთხვევით მთავრდება ნაწარმოები, მოულოდნელობის გრძნობა მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს აღვივებს. ამ ინტერესს კიდევ უფრო მეტად აცხოველებს ის გარემოება, რომ მწერალი არაფერს ამბობს, თუ ვინ მოკვდა, სად და რის გამო. იგი შეგნებულად მიმართავს ე.წ. დუმილის ხერხს.

ნაწარმოების მომდევნო აბზაცში „საიდუმლოება“ რამდენადმე მჟღავნდება. მკითხველმა უკვე იცის, რომ გარდაცვლილს ჰყოლია და, სატრფო, სათაყვანებელი ადამიანი, რომლისაც ერთ დროს ყველაზე უფრო მეტად სწამდა და დედა, მაგრამ ყოველივე ამის ცოდნა მკითხველს კიდევ უფრო უცხოველებს ცნობისმოყვარეობას: რა უნდა მომხდარიყო ამ კაცის ცხოვრებაში ისეთი, რომ ეს ადამიანი მარტოობაში აღსრულებულიყო?

შემდეგი აზრები, რომელიც ერთი მოკვეთილი ფრაზისაგან შედგება: „მოკვდა უცხოეთში“, მკითხველს ცნობისწადილს უკმაყოფილებს. ამის შემდეგ მას აინტერესებს გაიგოს რისგან გარდაიცვალა ნაწარმოების გმირი.

„-ათასნაირი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, - იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი“, - ასე იკითხება მომდევნო წინადადებები, რომლებიც მკითხველთა ინტერესს ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებენ. დამაბულობა გრძელდება.

„ცხედარი გაჭრეს“ ამ აზრებში მკითხველის ცნობისმოყვარეობა კულმინაციას აღწევს: ახლა კი უნდა გაიგონ ბოლოსდაბოლოს რით იყო დაავადებული ნოველის გმირი. მაგრამ, არა! - მწერალი კვლავ ისეთნაირად შლის ნაწარმოების სიუჟეტს, რომ მკითხველს უფრო უღვივებს მოლოდინის გრძნობას, რის გამოც დამაბულობა კიდევ უფრო მატულობს. დასასრულისაკენ თხრობაში იჭრება „პარაბოლური ნაკადი“:

„-ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლიღა დარჩენილიყო“.

ქვეტექსტი ამ ფრაზისა ნათელია: მასში გამოხატულია იმ ადამიანის ტრაგიზმი, რომელსაც სამშობლოს გარეთ მოუხდა ცხოვრება. ტექსტის მომდევნო მონაკვეთში კვლავ მოწოდებულია სინამდვილეში დასაშვები ფაქტი - შვილის დაკარგვით გამოწვეული დედის მწუხარება: „ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული?...“ და ისევ უცნაური

„კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

-მე დავაჭკნე!

-მე დავწვი! - გახმაურდა სურათი მაგიდაზე.“

მწერალი კვლავ საგანგებოდ დუმს, მაგრამ მკითხველი კარგად გრძნობს, რომ რუქაზე გამოხატული იყო საქართველო, ხოლო სურათზე - სამშობლოში დატოვებული სატრფო.

ნოველა იკვრება დამაგვირგვინებელი ფრაზით: „სიტყვები არავის გაუგონია“. ამდაგვარი მონაცვლეობა ნოველის შინაარსის „ჩვეულებრივი“ და „არაჩვეულებრივი“ პლანებისა, მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს

თხზულებაში შეტანილ არარეალურ ელემენტებს და ამით კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მის ზემოქმედებას მკითხველზე.¹⁶

4. ტირეს სტილური დატვირთვა

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს პუნქტუაციის ნიშნებიც კი. აი, თუნდაც ეს მუდამ მოულოდნელი - ტირე! იგი თითქოს ჭიმავს სივრცეს სიტყვებს შორის, რომელიც ჩვენ, მკითხველებმა, საკუთარი წარმოსახვით უნდა შევავსოთ:

„ცოლი გოდრის ასაწევათაც არ მოიხმარა, მოერიდა, ახალ ნალოგინევს.

და თვით ეცა. უძინარი:

კარგი სიმინდი - ნალიაში

უვარგისი - სხვენზე

ფუჩიჩი - საბძელში

ადგა მთქნარებით - ისევ სამუშაოდ“¹⁷

5. დიალოგურ მეტყველებაში ფრაზათა ინტონაცია და სინტაგმატიკა

„თავსაფრიანი დედაკაცის“ დიალოგურ მეტყველებაში ფრაზათა ინტონაცია და სინტაგმატიკა ძალდაუტანებელი და ბუნებრივია. ყოველი ელემენტი მოწოდებულია შექმნას „სასაუბრო“ ატმოსფერო:

„მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით მოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშვს. ფეხი არ ჩაეტია.

-გაიხადე ბები, ამას შენ ძამიას წავუღებ, შენ კი სხვას მოგიქსოვ.

¹⁶ ე. აბრამიშვილი, დინჯად მივდივარ კეთილი საქმისთვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1982, 1

¹⁷ ნ. ლორთქიფანიძე

ბავშვის ტირილი.

დედამ სთხოვა:

-მიეცი, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს...

-რათა, შვილო, ამას კოწიას წაუღებ.... ბავშვს ნუ გაანებივრებ....

ბავშვი უფრო ტირის.

-რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო! ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?

წინდები ხელთ გავარდა.

სიტყვა არ ამოუღია.

შეისწორა თავსაფარი.

ქალიშვილმა შეამჩნია ქცევა და კიდევ დაუმატა:

-ტყუილს ვამბობ თუ?

ქალი ადგა. კალთები დაიბერტყა.

ბავშვი არ ცხრებოდა.

კაპასი შვილი:

-ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გიყიდი, შვილო, რომ ბებიაშ არ დაგამადლოს!“¹⁸

აქ დრამატიზმი ჩნდება ქალიშვილის „პირმოხსნილი“ მეტყველებისა და დედის დუმილის კონტრასტულობით. სცენის პათეტიკური დაძაბულობა სინტაქსურადაც გაცხადდება: კითხვით-მახილის წინადადებათა მონაცვლეობითა და დაჟინებული განმეორებით.

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“ - თავზარდაცემული დედა ამ სიტყვებს იმეორებს უკვე მექანიკურად, გაუცნობიერებლად. იმეორებს, როგორც ცარიელ, უშინაარსო სიტყვებს. აეკვიატებიან თავსაფრიან დედაკაცს ისინი, მოსვენებას არ ამღევენ, ერეკებიან გარეთ, სახლიდან შორს:

„არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები: „შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“...“¹⁹

¹⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 240

ამ დრამატულ, დაძაბულ სიტუაციაში უკვე შეიგრძნობა რაღაც ფატალური, საბედისწერო. ზემოთ ციტირებული სიტყვების მრავალჯერ განმეორება მკითხველის აღქმაში ამძაფრებს მათ დაუნდობელ არსს, ხოლო ყოველი მომდევნო განმეორება კონტექსტში ახალ მხატვრულ ეფექტს ქმნის, კიდევ უფრო ღრმად შევყავართ გმირის სასოწარკვეთილ და იმედგაცრუებულ სულიერ სამყაროში. ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც ჭეშმარიტი მწერლის ღირსება ამაშიც ვლინდება. სამეტყველო ფორმის ბუნებრივი უბრალოება სინამდვილეში უაღრესად რთული ჰარმონია აღმოჩნდება.

„თავსაფრიან დედაკაცში“ გამოვლინდა, როგორ ფლობს მწერალი დეტალების ხელოვნების საიდუმლოებასაც. ყოველი დეტალი, რომელთაგანაც იქსოვება გმირის ცხოვრება, ისტორია, თხრობის სევდიან მხატვრულ ატმოსფეროს ქმნის და შემდეგ თვითონ, ამ მხატვრულობის ატმოსფეროთი „დამუხტული“, ღრმა ქვეტექსტის მნიშვნელობას იძენს. ნიკო ლორთქიფანიძე მათ განმაზოგადებელ ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებს. აქ დეტალი მუდამ უფრო მეტს აღნიშნავს, ვიდრე თავად დეტალია (მოხუცი - „წელში გახრილი, ყავარჯნით...“, „საფლავის ქვა, ბალახში დაფარული“... „ბარათი, შესაფერისად გრძელი“... „ხმარებისგან გალეული ნიშნობის ბეჭედი“, „კეთილსინდისიერად გაიყვეს დედის მცირე მემკვიდრეობა“ და სხვა).

6. უზმნო ფრაზები სტილური ფუნქციით

¹⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 241

გრძნობები, განცდები, ემოციები ნოველაში დრამატულად წარმოჩინდება, მათი გადმოცემის საშუალებად სინტაქსური ექსპრესია - თავისებურ ფორმათა ინტონაციური მახვილებით და მათი შესაბამისი გრაფიკული განლაგება იქცევა:

„არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეინანა“

„მოიმადლიერო“

და მოულოდნელად მოკვეთილი დასაბუთებული გადაწყვეტილება:

„ადარავისთვის ვარ საჭირო! სრულიად არავისთვის; ვარ სრულიად ზედმეტი... დიდიხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...“²⁰

უგულბელყოფილია, სადაც საჭიროა, ზმნებიც კი, რათა კონკრეტულყოფითი მნიშვნელობის მქონე ზმნებმა ფრაზები „დაამძიმონ“ და არ შეიტანონ მათში პროზაული კონკრეტულობისა და „ობიექტურობის“ ატმოსფერო:

„ხარდანიანი ვენახი საკუთარ ეზოში

სიმინდის მაღალი კალო - სამესამედოთ ნაბატონართან,

გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში;

უღელი ხარი,

წელმაგარი კომლი!“...²¹

ნოველის მოკლე დიალოგებში ცხადი ხდება პერსონაჟების აზრთა წყობა, მათი ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპები, სოციალური ბუნება, განწყობილებები, შეხედულებები.... ეს მწერლის უმაღლესი ხელოვნებაა - ორიოდ ფრაზის მეშვეობით „გახსნას“ ხასიათი, ბუნება ადამიანისა, უნარი - რამდენიმე სიტყვით გადაგვიშალოს მისი მღელვარე შინაგანი ცხოვრება მოცემულ მომენტში, რამდენიმე „უმნიშვნელო“ შტრიხით დახატოს პერსონაჟის პორტრეტი, გადმოგვცეს მისი სულის მოძრაობა...

²⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 241

²¹ ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, გვ. 238

II თავი

1.რთული თნწყობილი და ქვეწყობილი წინადადება

რთული წინადადება ორი სახისაა: რთული თანწყობილი წინადადება (პარატაქსი) და რთული ქვეწყობილი წინადადება (ჰიპოტაქსი).

პარატაქსი და ჰიპოტაქსი ერთმანეთისგან განსხვავდება შემადგენელ წინადადებათა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით: თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას.

რთული თანწყობილი წინადადება კავშირიანია ან უკავშირო. წინადადებათა დასაკავშირებლად გამოყენებულია ყველა სახის მაერთებელი კავშირი: მაჯგუფებელი, მაკავშირებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი.

ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც ერთიმეორის მიმართ არაა თანასწორი და რომელთაგანაც ერთი ხსნის მეორეს.

მაგ: „უეცრად წინ გადამეღობა ინდოელი, რომელმაც მძიმედ დამიკრა თავი“.²²

აქ ორი წინადადებაა, რომელთაგანაც პირველი ცალკეც რომ ავიღოთ, მაინც გასაგებია („უეცრად წინ გადამეღობა ინდოელი“), მეორე კი პირველის გარეშე გაუგებარია („რომელმაც მძიმედ დამიკრა თავი“).

დამოკიდებული წინადადება იძლევა დამატებით ცნობას მთავარი წინადადების დამატებაზე (ინდოელი) და განსაზღვრავს მას. დამოკიდებული წინადადება, საზოგადოდ, ასრულებს რომელიმე წევრის ფუნქციას ან კონკრეტულად ხსნის და განმარტავს მთავარ წინადადებაში მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვის ზოგად მნიშვნელობას. დასახელებულ მაგალითში დამოკიდებული წინადადება განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს მთავარი წინადადების დამატებასთან.

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარების ძირითად საშუალებად გამოიყენება საგანგებო სიტყვები. ესენია მაქვემდებარებელი

²² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ, 1977, გვ 150

კავშირები (რომ, თუ, სანამ, რადგან, რადგანაც), მიმართებითი სიტყვები: მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, როდესაც, როგორც...).

მაქვემდებარებელი კავშირი მხოლოდ დამოკიდებული წინადადების გადაბმის, მისი მთავრისადმი დაქვემდებარების საშუალებაა. ის წინადადების წევრს არ წარმოადგენს, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები კი ასრულებენ როგორც კავშირის, ისე წევრის ფუნქციებს.

ტერმინები „თანწყობა“ და „ქვეწყობა“ პირველად აკაკი შანიძის ნაშრომში გვხვდება.²³ თუ რომელი წარმოიშვა ადრე - პარატაქსი თუ ჰიპოტაქსი, ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე რთული წინადადების დაყოფის შესახებ თანწყობილად და ქვეწყობილად.

თ. ჟორდანიას ქვეწყობილ წინადადებას უწოდებს დამოკიდებულ წინადადებას, რომლის შემადგენლობაში გამოყოფს მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას.²⁴

ა. ბენაშვილი რთულ წინადადებად მიიჩნევს მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებას. 2

ა. ქუთათელაძეს წარმოდგენილი აქვს რთული წინადადების ორი სახე:

1. გაერთიანებული წინადადება და 2. შეერთებული წინადადება.²⁵

გაერთიანებული წინადადება იგივე შერწყმული წინადადებაა, შეერთებული კი რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადება ერთად.

მ. ჯანაშვილი რთულ წინადადებად მიიჩნევს მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებას. ²⁶

²³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948

²⁴ ქართული გრამატიკა, თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, 1889, გვ. 39

²⁵ ა. ბენაშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1894, გვ. 30-31

ანალოგიური შეხედულება აქვს ს. ხუნდაძეს.²⁷

ი. ნიკოლეიშვილი თეორიულად წარმოგვიდგენს რთული წინადადების ორივე სახეს - ქვეწყობილსაც და თანწყობილსაც, მაგრამ თანწყობილსა და შერწყმულს ვერ მიჯნავს ერთმანეთისგან.

ი. ნიკოლეიშვილი ასე განმარტავს რთულ წინადადებას: „რთული წინადადება ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც ორი, სამი და მეტი წინადადებისგან შედგება“.²⁸

ი. სიხარულიძის აზრით, რთული წინადადება ორი სახისაა: რთული შეკავშირებული და რთული დამოკიდებული.²⁹

ა. შანიძე ერთმანეთისგან მიჯნავს პარატაქსსა და ჰიპოტაქსს. მისი აზრით, რთული წინადადება ორგვარია: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი.

რთული თანწყობილია წინადადება, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებისგან.

რთული ქვეწყობილია ისეთი რთული წინადადება, რომელშიც ერთი წინადადება დამოკიდებულია მეორეზე და ხსნის მას.

პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ვ.თოფურიას აზრით შემდეგია:³⁰

1. თანწყობილი წინადადება მიიღება თანასწორუფლებიანი წინადადებებისგან, ქვეწყობილი კი არათანასწორუფლებიანი წინადადებებისგან. უკანასკნელში „სუბერენტულ-ვასალური დამოკიდებულებაა“. ერთი დამოუკიდებელია, გაბატონებულია, მეორე კი დამოკიდებულია, დაქვემდებარებულია...

²⁶ ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, მეოთხე გამოცემა, ტფილისი, 1907, გვ. 22

²⁷ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906

²⁸ ი. ნიკოლეიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, 1929

²⁹ ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1937

³⁰ ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, III, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივი წინადადებით შენაცვლებისათვის ქართულში, კრებული X-XI, 1960

2.თანწყობილს მაერთებელი კავშირები აქვს, ქვეწყობილს კი მაქვემდებარებელი.

3.თანწყობილს თავისი ინტონაცია ახასიათებს, ქვეწყობილს - თავისი.

4.ხშირად თანწყობილში შემავალ წინადადებათა ადგილის შენაცვლება, გადასმ-გადმოსმა ხერხდება კავშირის თავის ადგილას დატოვებით, ქვეწყობილში ეს არ ხერხდება.

5.თანწყობილის აზრი ვერ გადმოიცემა მარტივი წინადადებით, ქვეწყობილისა კი შეიძლება გადმოიცეს.

რთული წინადადება შედგება რამდენიმე წინადადებისაგან. რთულ თანწყობილ წინადადებაში ეს წინადადებები ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანია, დამოუკიდებელი, რთულ ქვეწყობილში კი აუცილებლად მოიპოვება ერთი მთავარი წინადადება და მასზეა დამყარებული სხვა წინადადება ან წინადადებები, რომლებსაც დამოიდებული წინადადება ეწოდებათ.

დამოკიდებული წინადადება არის ამხსნელი წინადადება, მთავარი კი ასახსნელი.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის.

თ. ჟორდანის აზრით, დამოკიდებულ წინადადებათა სახეები მოცემულია იმის მიხედვით, თუ რა წევრს ხსნის იგი. მაგ. შეიძლება იყოს: განმარტებით-დამოკიდებული, დამატებითი, განმარტებით-დამატებითი და ხუთი სახის გარემოებითი.

ა. ბენაშვილის აზრითაც, დამოკიდებული წინადადება ორგვარია: დამოკიდებულ-განმარტებითი და დამოკიდებულ-დამატებითი. განმარტებითი წინადადება განსაზღვრებითია, დამატებითი - გარემოებითი.

მ. ჯანაშვილის შეხედულებით, დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს შვიდი სახის: განმარტებითი, დამატებითი და 5 სახის გარემოებითი: დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის.

ს. ხუნდაძის აზრით, მთავარიც და დამოკიდებულიც ერთია, ორივეს რთული წინადადება ჰქვია.

ა. შანიძე დამოკიდებულ წინადადებათ შემდეგ ტიპებს გამოყოფს: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის და მიზნის), შედეგობითი, პირობითი და დათმობითი.³¹

ლ. კვაჭაძის აზრით, სინტაქსური ფუნქციის მიხედვით დამოკიდებული წინადადება შემდეგი სახისაა: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის), პირობითი, შედეგობითი, დათმობითი და მთავრის მიმართი.³²

თ. ჟორდანიას დამოკიდებული წინადადება მეორეხარისხოვან წევრთაგან მიღებულად მიაჩნია.

გ. როგავა დამოკიდებულ წინადადებას საფუძვლად უდებს კითხვით წინადადებას.³³

მის აზრს არ ეთანხმება ფ.ერთელიშვილი.³⁴

იგი აღნიშნავს: „ვინ“, „რა“ ნაცვალსახელები კითხვითი ნაცვალსახელების ჯგუფშია მოქცეული. ისინი კითხვითობის შემვცელი ნაცვალსახელებია, მაგრამ ძველსავე ქართულში შეიმჩნევა, რომ „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა არ წარმოადგენს მათ ერთადერთ ფუნქციას. „ვინ“, „რა“ ნაცვალსახელები იხმარება აგრეთვე მნიშვნელობით „ვინმე“, „რაიმე“.

რთული წინადადების შედგენა ხდება საკავშირებელი სიტყვების საშუალებით, იშვითად კი - ინტონაციით.

ტრადიციულად, როცა რთული წინადადების ნაწილები წარმოდგენილია ერთ მთლიან სინტაქსურ ოდენობად ინტონაციის საშუალებით, კავშირისა

³¹ ა.შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1972, გვ.70

³² ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 330

³³ გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისთვის ქართულში, ქუთაისი. 1948, გვ.24-26.

³⁴ ფ.ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისთვის ძველ ქართულში, I, თბილისი, 1963, გვ.196

და საკავშირებელი სიტყვების დაუხმარებლად, ე.ი. გარეგანი გაფორმების გარეშე, ასეთი წინადადება იწოდება უკავშირო რთულ წინადადებად.³⁵

ბუნებრივია, რომ უკავშირო თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს შორის იყოს სხვებიც: რთულ თანწყობილ წინადადებაში მაერთებელი კავშირის ნაცვლად გამოიყენება მაერთებელი ინტონაცია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი მაქვემდებარებელი კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის ნაცვლად - მაქვემდებარებელი ინტონაცია.³⁶

ამიტომაცაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ და სამართლიანადაც, რომ „უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ. დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებს, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობისა და დამაბულობის შთაბეჭდილებას“.³⁷

2.რთული თანწყობილი წინადადება

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რთული თანწყობილი წინადადება შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც. უკავშირო თანწყობილ წინადადებათა შეერთების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. კავშირთაგან წინადადებათა შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი. მაერთ ებელი კავშირები არა მარტო წინადადებათა გადაბმის საშუალებაა, არამედ მათი აზრობრივი მიმართების გამოხატვის საშუალებაცაა.³⁸

მაჯგუფებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების შესაერთებლად ყველაზე ხშირად „და“ კავშირია გამოყენებული.

³⁵ ვ. ახალაია. ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2004, გვ. 178

³⁶ ნ. ბასილაია. უკავშირო რთული წინადადება, თბილისი, 1974, გვ. 13

³⁷ გ. კვარაცხელია. ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი, 1990, გვ. 207

³⁸ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ.311

მაგ: „ქარი და ბუქი შეუშვა სრულიად მიმალულ კუნჭულში და სალი კლდე დაირღვა“.³⁹

„ცაც მოიწმინდა და გამოჩნდა მზე“.⁴⁰

„მაფის ჯვარი გაწყდა და თავადი წაიქცა“⁴¹

ⁱⁱუარყოფითი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში გამეორდება ც-დართული უარყოფითი ნაწილაკები: არც, ვერც, ნურც.

მაგ: „არც სიტყვა ისმოდა და არც ცოცხალი ქურუმნი ყავდა“.⁴²

მაცალკევებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება.

„ხან შხეფს მიაყრის, თითქოს სურს გააგრილოსო, ხან მთელი მთა ზვირთებს ჩაეხუტება“.⁴³

მაპირისპირებელ კავშირებად გამოყენებულია თანწყობილ წინადადებაში: მაგრამ, კი, ხოლო.

„თუმცა ეს დასჯას ემსგავსება, მაგრამ ჩემთვის უმაღლეს ჯილდოს შეადგენს“.⁴⁴

„ახალი მეგობარი თავის სათამაშოებს მაცნობდა, დედამ კი წერა-კითხვა დამაწყებინა“.⁴⁵

უკავშიროა რთული წინადადება, რომლის ნაწილებიც ერთ მთლიან სინტაქსურ ერთეულად გაერთიანებულია ინტონაციის საშუალებით კავშირებისა და მიმართებითი სიტყვების დაუხმარებლად, ანუ გარეგნული კავშირის გარეშე.⁴⁶

„აქ შეერთების საშუალებაა პაუზა, ინტონაცია, წერის დროს გამოიყენება სასვენო ნიშანი „მძიმე“. როგორც წესი, ასეთ რთულ თანწყობილ

³⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 130

⁴⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 130

⁴¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 120

⁴² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 200

⁴³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 29

⁴⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 24

⁴⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 358

⁴⁶ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 323

წინადადებაში იმდენი „მძიმე“ იწერება, რამდენი კომპონენტაცაა ერთის გამოკლებით“.⁴⁷

მაგ: „ბრძოლაა სიცოცხლისთვის, ჩქევს სისხლი, გავიწყებს წვრილმან უსიამოვნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გადარჩე“.⁴⁸

3.კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადება

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავრისა და დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად გამოყენებულია მაქვემდებარებელი კავშირები: რომ, თუ, რათა, სანამ, თუმცა...

მაგ: „მინდოდა დაწვრილებით გამეგო, თუ რა ადამიანი იყო ეს ბავშვი“.

„მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ საყვარელი არსება სამუდამოდ დაჰკარგა.“

„ქალმა იგრძნო, რომ ყმაწვილის გრძნობა გონებამ წამით ჩააჩუმა“

„მაგრამ, სანამ უფროსი მე ვარ, ვერ დავანგრევ ოჯახს მისი გულისთვის“.

⁴⁹

„სანამ ვისმე უშოვიდე, შენ უნდა იყო მისი მესაიდუმლე“.

მთავრისა და დამოკიდებულის დასაკავშირებლად გამოყენებულია მიმართებითი ნაცვალსახელები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...

მაგ: „ვინც გახრის ბაირაღს, თავს გავაგდებინებ“.

„ვინც ცოცხალი დარჩა, მასაც ზღაპრად ეჩვენებოდა წარსული ზრახვანი და სულისკვეთებანი“.⁵⁰

რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს - ელიზბარს რაღა ვაჩვენო“?⁵¹

„აბა, მსახურთ უბრძანეთ - ჩამაცვას, რაც ასეთს დროს შეეფერება“.⁵²

⁴⁷ ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996, გვ. 236

⁴⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, გვ. 5

⁴⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 154, გვ. 117, გვ. 52, გვ. 246

⁵⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 412, გვ. 45, გვ. 66

⁵¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 72

⁵² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 170

„თვალეზი ყვავებს ამოეკორტნათ, რომელნიც ეხლა ჭიებთან ერთად სხეულს დასეოდნენ“.⁵³

რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი და დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებულია მიმართებითი ზმნიზედებით: სადაც, საიდანაც, როდესაც, როგორც...

„ერთი შეიკუმშა, დაიყვირა და გააფთრებული ეძგერა ნაპირს, საიდანაც დელე იწყებოდა“.⁵⁴

„ქეთოს თვალი სულ აივნისაკენ ეჭირა, საიდანაც სიმღერა და ცალ-ცალკე თითო-ოროლა სიტყვა ისმოდა“.⁵⁵

„ქალი შეჩერდა სწორედ იქ, სადაც ვიწრო ქუჩა თავდებოდა“.

„ირემს სწორედ იქ ჩაუკვცია, სადაც ერთხელ უცხო მონადირემ ყელზე მოსახვევად გაიწია მისკენ“.⁵⁶

„თქვენ გაუყრით მსხვილ გრეხილს და საყელო კისერს შემოეხვევა, როგორც სურამი ჩადგმულ თაიგულს მისივე ფოთლები“.⁵⁷

„ თეთრ მოსასხამში გახვეული ბუნდოვანი იყო, როგორც ჩრდილი“.⁵⁸

⁵³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 33

⁵⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 17

⁵⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 184

⁵⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 76, გვ. 100

⁵⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 174

⁵⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 112

4. დამოკიდებულ წინადადებათ ადგილი

დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს მოქცეული მთავარი წინადადების თავში, შუაში და ბოლოში.

ა) დამოკიდებული წინადადება ბოლოშია

მაგ: „გველები ეხვეოდნენ მეტის აღტაცებით, ეკვროდნენ და ეტმასნებოდნენ თეთრ, ატლას კანს, რომელსაც ხელიც არ შეხებოდა თითქოს, ისე გამოიციქირებოდა“. ⁵⁹

„ეს იქნება ჟამი ნეტარებისა, როცა ჭეშმარიტათ დამკვიდრდება სიყვარული და სამართლიანობა“. ⁶⁰

„კობი არ გაუკეთებია მოხუცს, რადგან ქვრივი იყო“. ⁶¹

ბ) დამოკიდებული წინადადება მთავრის წინაა.

მაგ: „სადაც წიფელა ორ ტოტად იყოფა, იქ ანათებდა თვალებს ბუ“. ⁶²

„ჭიქამ რომ ორჯერ-სამჯერ ჩამოიარა, ყველას ენა აება, ღიღინი დაიწყეს“.

⁶³

„როცა ჭიშკარში ჩავედი, ქორწილი გაჩაღებული დამხვდა“. ⁶⁴

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარშია

მაგ: „ურემთან, სადაც თეო იჯდა, ორი მსახურიღა დარჩა“. ⁶⁵

„თედო, როგორც კარგი დალალი, არიგებდა ქალებს“. ⁶⁶

„ყმაწვილმა, რომელიც ეხლა გაგეცნოთ, თავი მოიკლა“. ⁶⁷

რთული წინადადების წყობას, მათ რიგს, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწილებს შორის ურთიერთმიმართების დასამყარებლად. შეიძლება აღვნიშნოთ ისიც, რომ მთავრისა და დამოკიდებული წინადადებისათვის

⁵⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 163

⁶⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 20

⁶¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 132

⁶² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 38

⁶³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 101

⁶⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 178

⁶⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 184

⁶⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 319

⁶⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 241

ადგილების შეცვლა ხშირად არ იწვევს მათ შორის დამყარებული მიმართების შეცვლასა თუ დარღვევას.

მთავრისა და დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვებია: მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, თუ, რათა, სანამ, რადგანაც, ვინაიდან, თუმცა...), მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, საიდანაც, როდესაც, როგორც...).

მაქვემდებარებელი კავშირები მხოლოდ გადაბმის საშუალებაა და წინადადების წევრს არ წარმოადგენს, მიმართებითი სიტყვები კი წინადადების წევრიც არის დამოკიდებულ წინადადებაში.

დამოკიდებული წინადადება მიმართებითი სიტყვებით შეიძლება დაუკავშირდეს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ან მთელს მთავარ წინადადებას.

საკავშირებელი სიტყვა, როგორც წესი, დამოკიდებულ წინადადებაშია, მაგრამ ხშირად მთავარ წინადადებაშიც მოიპოვება მეორე საკავშირებელი, ან კიდევ დამოკიდებული წინადადების სავარაუდო ნაცვალსახელები თუ ზმნიზედები, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებაზე მიუთითებენ. ასეთი წყვილ-წყვილი სიტყვებია: ისე-რომ, სანამ-მანამ, ისეთი-რომ, რამდენადაც-იმდენად, იმიტომ-რომ, მისთვის-რომ, ისეთი-როგორიც, თუმცა-მაგრამ, იქ-სადაც, მაშინ-როდესაც, რაწამს-მაშინვე, როგორც კი-მაშინვე, რამდენჯერაც-იმდენჯერ და სხვა.⁶⁸

მაგალითად:

„იატაკზე, იქ, სადაც აგურები ამოცვენილია, ჭილოფი და ფარდაგი გადაუფენიათ“.⁶⁹

„როცა ადამიანს საქმე შემოეღება ან საქმის უნარიც არ აქვს, მაშინ იგონებს იგი მეტაფიზიკას, სპირიტობს“.⁷⁰

„როგორც სხვა ცხოვრობს, ისე ვიჯახირებთ წუთისოფელს“.⁷¹

⁶⁸ ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 328

⁶⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 287

⁷⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 60

„როგორც გუშინდელი ამბავი, ყოველივე ისე ნათლად მახსოვს“. ⁷²

„ბატონი გორდელიანი არ არის ისეთი კაცი, რომ დუელი ისურვოს“. ⁷³

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირი ყოველთვის ერთნაირი არ არის. მთავარი წინადადება, რომელიც შეიცავს მისათითებელ სიტყვას, ნაკლებად დამოუკიდებელია, ვიდრე ისეთი მთავარი წინადადება რომელიც ასეთ სიტყვას არ შეიცავს.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის), პირობითი, შედეგობითი, დათმობითი, მთავრის მიმართი.

დამოკიდებულ წინადადებატა უმრავლესობა სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ემთხვევა წინადადების წევრთა შინაარსს, მნიშვნელობას.

დამოკიდებული წინადადება, რომელიც წინადადების ამა თუ იმ წევრის სინტაქსური ფუნქციის მქონეა, იმავე კითხვებზე მოგვიგებს, რომლებზედაც შესაბამისი წინადადების წევრი.

დამოკიდებული წინადადების აზრი შეიძლება წინადადების წევრითაც გადმოიცეს და პირიქით.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებას არ აქვს რომელიმე წევრის სინტაქსური ფუნქცია (პირობითს, შედეგობითს, დათმობითს, მთავრის მიმართს), ამიტომ დამოკიდებული წინადადებები უფრო მეტია, ვიდრე წინადადების წევრები.

ქვემოთ განვიხილავთ დამოკიდებულ წინადადებათა სახეებს მათი გრამატიკული ფორმების მიხედვით ნ. ლორთქიფანიძის პროზაულ ნაწარმოებთა ენაში კონკრეტული მაგალითებით.

5. დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები

⁷¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 71

⁷² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 114

⁷³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 132

1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს ან კიდევ მთავარში არაა ასეთი ნაცვალსახელი და დამოკიდებული წინადადება თვითონ ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან.⁷⁴

კითხვები: ვინ? რა? და დამოკიდებული წინადადების მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში იქნება ქვემდებარის ერთ-ერთ ბრუნვაში.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად გამოყენებულია ვინც, რაც მიმართებითი ნაცვალსახელები და როცა, თუ - მაქვემდებარებელი კავშირები.

მაგ: „ვინც გვერდში გიდგათ, მხოლოდ ის შეამჩნევდა ფერის ცვლასაც და თვით კანდელსაც“. ⁷⁵

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების კითხვებია: ვინ? რა?

„ვინც უკეთეს მასალებს ჩამოიტანს თავის ზაფხულის დროის გატარებიდან, ის იქნება გამარჯვებული“. ⁷⁶

მთავარი წინადადებაა - „ის იქნება გამარჯვებული“, დამოკიდებული - „ვინც უკეთეს მასალებს ჩამოიტანს თავის ზაფხულის დროის გატარებიდან“.

ვინ იქნება გამარჯვებული? - ამ კითხვაზე პასუხს სცემს დამოკიდებული წინადადება - „ვინც უკეთეს მასალებს ჩამოიტანს თავის დროის გატარებიდან“.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებაში ზოგჯერ გვხვდება მისათითებელი ნაცვალსახელი:

მაგ: „ვინც გვერდში გიდგათ, მხოლოდ ის გიტოკებთ სისხლს“. ⁷⁷

მთავარ წინადადებაში არ არის მისათითებელი ნაცვალსახელი:

⁷⁴ ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი, 1972, გვ. 89

⁷⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 154

⁷⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 332

⁷⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 122

„მკვდარს ვინც ამოიღებს, ოთხ ოქროს ვაჭუქებ“.⁷⁸

„ვინც გახრის ბაირაღს, თავს გავაგდებინებ“.⁷⁹

აქ მთავრის შემასმენელთნ ქვემდებარის როლს ასრულებს თვით დამოკიდებული წინადადება - „მკვდარს ვინც ამოიღებს“ და „ვინც გახრის ბაირაღს“.

6. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

⁷⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 227

⁷⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 45

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ-ერთი დამატების გაგებას. პირდაპირი დამატებისას, ირიბისას, უბრალო დამატებისას.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ან ხსნის და აზუსტებს მთავარში ნაცვალსახელით გამოხატულ დამატებას, ან კიდევ მთავარში ასეთი ნაცვალსახელი არაა და თვითონ ასრულებს დამატების როლს მთავრის შემასმენელთან.

საკავშირებელი სიტყვები იგივეა, რაც ქვემდებარული დამოკიდებული ინადადებისა: ვინც, რაც,რომ, თუ...

მაგ: „მე მაინც მინდა ვიცოდე, თუ როგორ შეხვდა მამაშენი ჩემს წინადადებას“. ⁸⁰

„საბამ ფეხის ხმაზე შეატყო, რომ თევდორე მოდიოდა“. ⁸¹

„მე მოვედი გითხრათ, რომ დუელი არ არის საჭირო“. ⁸²

„მამინ კარგად არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა ჩემი ამაყი სიტყვები“. ⁸³

„აბა, მსახურს უბრძანეთ ჩამაცვას, რაც ასეთს დროს შეეფერება“. ⁸⁴

7.პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება

⁸⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ 1977, გვ. 289

⁸¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ 1976, გვ. 278

⁸² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 133

⁸³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 80

⁸⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ 1977, გვ. 170

პირდაპირდამატებითი წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ პირდაპირ დამატებას, ან მთავარში ასეთი ნაცვალსახელი არაა და თვითონ გამოდის ის პირდაპირი დამატების როლში მთავრის შემასმენელთან.

პირდაპირდამატებითი წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავრის შემასმენელი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული.

კითხვები ვინ? რა? და მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარ წინადადებაში იქნება მიცემიტის ან სახელობითის ფორმით. (პირდაპირი დამატება, როგორც ვიცით, ამ ორ ბრუნვაშია).

ამასთან, მიცემიტის ფორმით, როცა მთავრის ზმნა პირველი სერიის ფორმაა. სახელობითია, როცა მთავარი წინადადების ზმნა II ან III სერიაშია.

როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების კითხვებია ვინ, რა.

„ვერ გაგიბედეს უსათუოდ, რომ ასეთი ცუდი თვისება მოგაწერეს“. ⁸⁵

„მხედარმა დაინახა, ვისაც ეძებდა“. ⁸⁶

მთავარ წინადადებაში არის მისათითებელი ნაცვალსახელი:

„მხოლოდ ისლა მტანჯავს, რომ შვილის ამბავი ვერ გავიგე“. ⁸⁷

მთავარ წინადადებაში არ არის მისათითებელი ნაცვალსახელი და მთავარი წინადადების შემასმენელთან ქვემდებარის როლს ასრულებს დამოკიდებული წინადადება:

„ბუნდოვნადვე ვიცოდით, რომ წინათ მეგობრებს და ნაცნობებს თავადის დიდი იმედი ჰქონდათ.“⁸⁸

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება იწყებდეს მთავარს ან მოსდევდეს მას.

„ხონთქარმა იცოდა, რა ლმობიერიც იყო და სიბრიყვემ დარბაზისამ გულზე გადაუარა“. ⁸⁹

⁸⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 40

⁸⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 49

⁸⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 17

⁸⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 58

⁸⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 27

„მინდოდა დაწვრილებით გამეგო, თუ რა ადამიანი იყო ეს ბავშვი“. ⁹⁰
„და ამდენი ხნის განმავლობაში ბრომლეიმ ვერ გამოარკვია, თუ რა განწყობა იყო ელის და ჰექსლის შორის“. ⁹¹
„რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს - ელიზბარს რაღა ვაჩვენო?..“ ⁹²
„ვისაც თეთრი ხელთათმანები სურდა, მას ყვითლად უჩვენებდა თავს, ვისაც დიდი - პატარად“. ⁹³

8. ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება

ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ნაცვალსახელით წარმოდგენილ ირიბ დამატებას, ან მთავარში ნაცვალსახელი არაა და თვით დამოკიდებული წინადადება გამოდის ირიბი დამატების როლში წინადადების სახით.

ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი სამპირიანი გარდამავალი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნით არის გადმოცემული.

ირიბდამატებით დამოკიდებულ წინადადებას დაესმის კითხვები ვინ? რა?, რომლებიც ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია:

„გრიგალი ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში გაყრის, რაც მიწას ვერ შესისხლხორცებია“. ⁹⁴

ადგილის მიხედვით ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს ქვეწყობილი წინადადების ბოლოში:

მაგ: „მაგიერათ ორივე ძმა ამჩნევდა, რომ ასე დიდხანს ვერ გასტანდა“. ⁹⁵

⁹⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 154

⁹¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 143

⁹² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 72

⁹³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 55

⁹⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, 1958, გვ. 69

⁹⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 182

9. უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება

უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს უბრალო დამატებას მთავრის შემასმენელთნ, ან ხსნის და აზუსტებს მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემულ უბრალო დამატებასა.⁹⁶

ამ ტიპის დამატებითი დამოკიდებული წინადადება შესაძლებელია როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან. ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება თითქმის არ გვხვდება.

10. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განმარტებაა მთავარი წინადადების ისეთი წევრისა, რომელიც არსებითი სახელით ან საწყისით არის გადმოცემული. ის მოგვიგებს კითხვებზე: რომელი? როგორი? (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით).

„მხოლოდ ერთი-ორს მოელობა ფაცხა და ზევიდან დაეყარა ფოთლებიანი შტოები, რომელნიც უკვე შემჭკნარიყვნენ“.⁹⁷

„შალვა დაეწია მასწავლებელს, რომელიც კლასის დამრიგებელიც იყო, და სთხოვა, შინ გაეშვა“.⁹⁸

„დუქანს, რომელშიაც გაჩერდნენ, არ ჰქონდა ფარები“.⁹⁹

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს:

⁹⁶ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 346

⁹⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 196

⁹⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 9

⁹⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 191

1)მიმართებითი ნაცვალსახელები: რომელიც, ვინც, რაც, როგორიც, რამდენიც (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით).

„იგი ექებდა ცოლის ძმას, ომში პირველად გამოსულს, რომელიც სასოებით

და მუდართი ჩააბარეს მოყვრებმა“.¹⁰⁰

„სოფელ ბეძილეთის ახლათაშენებული ეკლესიის კურთხევის ამბავი სწრაფად მოედვა იმ კუთხეს, რომლის ცისქვეშ არათუ ეპისკოპოზი, ბოქაულიც არ ჩნდებოდა“.¹⁰¹

„რა უნდა მოვნახოთ ისეთი, რაც ყველასათვის საყურადღებოა, და თანაც ენაუშვერებამდის არ მიგვიყვანდეს?“¹⁰²

2)მიმართებითი ზმნიზედები: როდესაც, (როცა), სადაც, საიდანაც, საითკენაც, თუ ესენი მიემართებიან არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს.

„და მთელი კაბარეს ათასი თვალი სწრაფად შეიკრიბა და მიეკრთო სუფრას, სადაც ისხდნენ ორი ახალგაზრდა ქალი და სამი კაცი“.¹⁰³

„გაზეთის იმავე ნუმერში, სადაც უბედურება იყო აწერილი, გაჭირვებულთადმი თანაგრძნობით განთქმული მგოსანი მღეროდა“.¹⁰⁴

„ქეთოს თვალი სულ აივნისაკენ ეჭირა, საიდანაც ისმოდა სიმღერა და ცალ-ცალკე თითო-ოროლა სიტყვა“.¹⁰⁵

მაქვემდებარებელი კავშირი, „რომ“ მხოლოდ გადაბმის საშუალებაა, მიმართებითი სიტყვები კი გადაბმის საშუალებაა და დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი წევრიც.

მაგ: „მართა იქვე იჯდა და სუთით ღომს ზელდა, რომელიც ამდენი ხარშვით მეტად გასქელებულიყო“.¹⁰⁶

¹⁰⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 52

¹⁰¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 87

¹⁰² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, 1976, გვ. 58

¹⁰³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 157

¹⁰⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, 1976, გვ. 19

¹⁰⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, 1976, გვ. 184

¹⁰⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 447

„ახალოხის დაცრეცილი სარჩული მოიხია დამნაშავემ და მეღუქნეს გადასცა, რომელიც დასტაქრობდა“.¹⁰⁷

მიმართებითი ნაცვალსახელი იმ ბრუნვაში დგას, რომელსაც მოითხოვს დამოკიდებული წინადადების ზმნა.

1 მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა:

„უეცრად წინ გადამელობა ინდოელი, რომელმაც თვი მძიმედ დამიკრა“.¹⁰⁸

„სცენაზე დარჩა მხოლოდ ბენ-საიდი, რომელმაც ერთხელ კიდევ თაყვანი სცა მაყურებელთ“.¹⁰⁹

2 მიმართებითი ნაცვალსახელი დამატებაა:

„შორიდან ისმოდა მუსიკის ხმა, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევდი“.¹¹⁰

„იმ საზოგადოებიდან, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, ისინი გამოყრილი არიან“.¹¹¹

მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ რიცხვში შეეწყობა მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელსაც მიემართება ანუ განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება, სახელდობრ 1) თუ მთავარი წინადადების საზღვრული წევრი მხოლოდით რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ აგრეთვე მხოლოდით რიცხვში უნდა დაისვას:

„სტუმრები მიუახლოვდნენ დარბაზში მყოფ ერთადერთს სურათს, რომელიც შუა კედელზედ ეკიდა“.¹¹²

„ხვალ ჩემი მეგობარი ჩამოვა ბათუმიდან, რომელიც კავკავში უნდა წამოვიდეს და არ მინდა ნაქირავებ ეტლში იჯანჯდაროს“.¹¹³

მრავლობითში დასმულ სახელს მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობით რიცხვში უნდა დაესვას.

„თვალეზი ყვავებს ამოეკორტნათ, რომელნიც ეხლა ჭიებთან ერთად სხეულს დასეოდნენ“.¹¹⁴

¹⁰⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 73

¹⁰⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 150

¹⁰⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 157

¹¹⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, 1958, გვ. 101

¹¹¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, 1977, გვ. 278

¹¹² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 52

¹¹³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 132

„რომელიც“ მრავლობითში დაისმის იმ შემთხვევაშიც, თუ ის მიემართება რამდენიმე სახელს ან მხოლოდობითში დასმულ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი სიტყვა. (ორი, სამი, ბევრი, მრავალი, რამდენიმე, ყველა).

და მერე იცით, ხშირად ისეთი კაცები და ქალები მაბეზღებენ, რომელთაც არაფერი საქმე არ მქონია და ვერც ჩემს ადგილს მიიღებენ“.¹¹⁵

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს რთული ქვეწყობილი წინადადების შუაში ან ბოლოში.

„ოთხი ოთახიდან, რომელიც ბოქაულს ეჭირა, ერთში კანცელარია იყო მოთავსებული, მეორეში ცოლ-შვილი, ცოლისდა და მოსამსახურე იყვნენ ჭუჭულებივით მოკუჭული“.¹¹⁶

„ერთ დილას თეო, რომელიც ჯერ სოფელ-ქვეყანაში არ იყო გამოყვანილი, თავის ორიოდე მხლებელით ცხენით სეირნობდა“.¹¹⁷

„საოცნებო სიმაღლიდან ერთი შტო გადაჰყურებს თვალუწვდენელ ველს, რომელზედაც მიჰქრის მატარებელი და დარბის ცხვრის ფარა და ცხენის ჯოგი“.¹¹⁸

„და ქალმა მადლობის ნიშნათ თავი დაუქნია ჰექსლეის, რომელმაც ნამალევადვე ჭიქის აწევით უპასუხა“.¹¹⁹

„ბრომლეი უფრო გააკვირვა აღმოსავლეთისაკენ სახემიპყრობილმა რამინომ, რომელსაც ხელები თავის უკან გადაეხლართა“.¹²⁰

„მეფის ძმა არჩილი ჩამჯდარიყო და ხმაღს ფეხებში უქნევდა ახოვან კაცს, რომელიც ყოველ მოქნევაზე ახტებოდა“.¹²¹

„დარაჯებს დიდხანს არ შეუჩერებიათ, პირდაპირ მიჰგვარეს მეფეს, რომელიც ჭადრაკს ეთამაშებოდა ოდიშის გამოჩენილ მოჭადრაკეს“.¹²²

¹¹⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 33

¹¹⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 202

¹¹⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 112

¹¹⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 62

¹¹⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 389

¹¹⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 144

¹²⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 145

¹²¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 31

„ბულბული უსტვენს და უყევს გალიაში მჯდომ მეგობარ ბულბულს, რომელსაც მოსწონს მყუდროება თავისი“.¹²³

„წინათვე გავიანგარიშე ისეთი პატარა პიესა დამეწერა, რომ მე და ის ერთმანეთს შევხვედროდით“.¹²⁴

„აქ რაღაც ისეთი ჰაერია, რომ უნდა დავლიო.“¹²⁵

11. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი გვიჩვენებენ, თუ რა გარემოებაში ხდება მოქმედება, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი.

გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ერთ-ერთი გარემოების შინაარსისაა: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის ან მიზნის.

¹²² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 44

¹²³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 87

¹²⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 20

¹²⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 26

განვიხილოთ თითოეული სახის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ცალ-ცალკე.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების ადგილს. ის მოგვიგებს კითხვებზე: სად?, საიდან?, საითკენ?

მაგალითად: „ირემს სწორედ იქ ჩაუკეცია, სადაც ერთხელ უცხო მონადირემ ყელზე მოსახვევად გაიწია მისკენ“.¹²⁶

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მიმართებითი ზმნიზედები: სადაც, საიდანაც, საითკენაც (იშვიათად კავშირი „რომ“).

მაგ: „ქვევით, სადაც სამი კუნძი იყო, ხეს შემოხვეოდა გველი“.¹²⁷

მთავარ წინადადებაში მოიპოვება მისათითებელი ზმნიზედები: იქ, იქით, იქითკენ, იქიდან.

„ქალი შეჩერდა სწორედ იქ, სადაც ვიწრო ქუჩა თავდებოდა“.¹²⁸

ადგილის გარემოებითი წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების თავშია, შუაშია ან ბოლოში.

„სადაც უნდა მოკვდეს ადამიანი, ყოველთვის გამოჩნდება ყვავი“.¹²⁹

„სადაც დედოფლის მშვენიერება, წარმოუდგენელი მიმოხრა სხეულთა ხაზებისა თვალს ხიბლავს, იქ ყოველი ჩვენი ნამოქმედარი შეგვაწუხებს“.¹³⁰

„ქვევით, სადაც სამი კუნძი იყო, ხეს შემოხვეოდა გველი“.¹³¹

„იატაკზე, იქ, სადაც აგურები ამოცვენილია, ჭილოფი და ფარდაგი გადაუფენიათ“.¹³²

„ქალი შეჩერდა სწორედ იქ, სადაც ვიწრო ქუჩა თავდებოდა“.¹³³

¹²⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 100

¹²⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 38

¹²⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 76

¹²⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 8

¹³⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 25

¹³¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 38

¹³² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 287

¹³³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 76

ნიკო ლორთქიფანიძე ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად იყენებს მიმართებით ზმნიზედას „სადაც“. მთავარ წინადადებაში კი ხშირად გვხვდება მისათითებელი ზმნიზედა „იქ“. იშვიათად გვხვდება კავშირი „რომ“.

12. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს თუ როდის ხდება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს თუ როდის ხდება წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს კითხვებზე: როდის?, რა დროიდან?, რა დრომდე? რამდენ ხანს?

„ამ ფიქრებში გართულმა მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება ჭიშკარს, როცა იგი ჭრიალით გაიღო და შიგ შემოვიდა ურემი“.¹³⁴

„ხმაურზე უცებ გამოღვიძებულ ნიკოს ტირილმა და პარმენის ღვიძებამაც ვერაფერი გააწყო, სანამ მძინარის უდარდლოობით გაბრაზებულმა პარმენმა არ დაიღრიალა“.¹³⁵

„ტიროდა დიდხანს, სანამ არ მიეძინა“.¹³⁶

მთავარ წინადადებასთან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს კავშირები: როდესაც, (როცა), რომ, სანამ, რა, თუ არა, რაწამს, რაკი, როგორც კი, ვიდრე და სხვა.

„ერთ საღამოს, გვიან ღამით, როცა სამივე ოპერეტტა-ყავახანიდან დაბრუნდა, ბრომლეიმ აასრულა ავტომობილში მოფიქრებული გეგმა“.¹³⁷

¹³⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 180

¹³⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 238

¹³⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 10

¹³⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 144

„როცა ერთმა წაიწია, ყველა მას გაჰყვა“.¹³⁸

„როგორც კი გადავედი წყალგალმა, ახლადმკვდარი ცხვარი ვნახე“.¹³⁹

„სანამ ვისმე უშოვიდე, შენ უნდა იყო მისი მესაიდუმლე“.¹⁴⁰

„ღრმად თავდახრით ვეზირი და ედიშერი უცდიდნენ, სანამ მეფე არ მიიმალა“.¹⁴¹

მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს: მანამ, სანამ, მაშინვე.

„იმედი რომ დაეკარგათ, მაშინ შეეძინათ ქალი.“¹⁴²

„როცა ადამიანს ან საქმე შემოეღვევა, ან საქმის უნარიც არ აქვს, მაშინ იგონებს იგი მეტაფიზიკას, სპირიტუიზმს“.¹⁴³

მთავრისა და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნების მოქმედება ერთდროულია ან ერთისა მოსდევს მეორეს:

„როცა ხონთქარი ადგა და დედოფალს ხელი მოჰხვია წასაყვანათ, მგოსანი უეცრად შეიძრა და მოულოდნელად დაიწყო გალობა“.¹⁴⁴

„როცა არაქათი გამოეღია, ერთი წაბანცალდა, გზის დაბალ ხსტეს წამოედვა, გადახტა, წაიქცა და გაგორდა“.¹⁴⁵

„და როცა ეკლესიიდან ეკლესიამდე გადაგუგუნდა ზარის რეკა და ძველებური ბუკის ყვირილი, ტყეშიაც შეირყა ხალხი, შეჯგუფდა, აღელდა და დაეშვა ბარად“.¹⁴⁶

„მაგრამ, სანამ უფროსი მე ვარ, ვერ დავანგრევ ოჯახს მისის გულისთვის“.¹⁴⁷

„როცა ზურგიდან მოვიშორე პედაგოგების უღელი, ვიფიქრე ახლა დავიზადე-თქო“.¹⁴⁸

¹³⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 27

¹³⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 40

¹⁴⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 412

¹⁴¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 408

¹⁴² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 11

¹⁴³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 60

¹⁴⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 25

¹⁴⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 371

¹⁴⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 213

¹⁴⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 246

¹⁴⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 113

„დილას, როცა ჯერ კიდევ სქელი ნისლი ადგია ქვეყანას, აშრიალდება ხეები“.¹⁴⁹

„მხატვრის ირგვლივ, როცა ფრინველი ფრთა ფრთას შემოჰკრავდა, ცვარი ობოლი მარგალიტივით სცვიოდა“.¹⁵⁰

„ქალი უკან წასვლას აპირებდა, რომ ერთმა მოზაასეთაგანმა მიმართა“.¹⁵¹

„და ვერ მოასწრო ხელში აღებული მხედრის გადასმა, რომ კარავი შეიძრა და მოისმა ზარბაზანის ხმა“.¹⁵²

„სულგანაბული იყო ყველა, აღტაცების გამოსათქმელად ელოდნენ წუთს, როცა ელი ფეხზე წამოდგებოდა“.¹⁵³

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების თავშია, შუაში ან ბოლოში:

„როცა ნეშთი ზესთმშვენებისა კუბოში ჩაასვენეს, მაშინ გამოერკვა გველი და ჩაიკეცა“.¹⁵⁴

„როცა ცდომილმა ნაბიჯმა გულის იარა გამიხსნა, გითხარი მაშინ მე აღსარება“.¹⁵⁵

„როცა მესხმა იძრო ხმალი და დაატრიალა, ეს ლეჩხუმელი ხესავით დადგა, ძლივს ამოიღო ხანჯალი, დახუჭა თვალი, დაიწყო ღრიალი“.¹⁵⁶

„სწორეთ როცა ნესვს ართმევდა მეხილეს, შემოსულიყო გიორგი“.¹⁵⁷

„როცა სხივი მზისა მოხვდება, გულამოსკვნით დაიწყებს ტირილს“.¹⁵⁸

„როცა ჩვენ პირველმანისობას ბაირალი ავსწიეთ, ამ შვიდიოდე წლის წინათ, ჩვენ ვიყავით სულ ათი-თორმეტი“.¹⁵⁹

„აი აქ, როცა ჯერ კიდევ კარგი დაღამებული არ იყო, სტვენა გაისმა“.¹⁶⁰

¹⁴⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 153

¹⁵⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 16

¹⁵¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 70

¹⁵² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 44

¹⁵³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 164

¹⁵⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 68

¹⁵⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 8

¹⁵⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 32

¹⁵⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 167

¹⁵⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 89

¹⁵⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 214

¹⁶⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 275

„საუკეთესო მდგომარეობაშია, როცა მიცვალებულს არაფერი რჩება, მაშინაც ჩნდებიან ამხანაგები და მისი სახელით უნდათ რაიმე საქმე მოაგვარონ.“¹⁶¹

„ყოველ მივარდნილ ადგილსაც კი, როცა ჩრდილში ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, ბუჩქთა შორის გამოჩნდებოდა ორი პატარა თვალი საჭურისისა“.¹⁶²

„ცხრა-კლიტულ საპყრობილეში, როცა პატიმართა სანუგეშებლად მოვიდოდა, საიდანაც შემოიჭრებოდა სხივი მთვარისა და გაისმოდა იადონის სიმღერა“.¹⁶³

„ათასს ხელში გაივლის წერილი, სანამ პატრონს ხელში მიუვიდოდეს“.¹⁶⁴

„ფართობი ორი სულისათვის არ იყო მცირე, სანამ წვიმა არ ჩამოატანდა და სალომე არ მოფენდა იქაურობას ტაშტებით, ქოთნებით, კოკითა და ტაფებით“.¹⁶⁵

„მგლურათ ცქერა შეიძლება, როცა ადამიანი დღეში ერთხელ წუთით შეხვდება არასასიამოვნო პირს“.¹⁶⁶

„მიყვარს ჭექა-ქუხილი, როცა არ იცი, რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია - მეხი არ დაეცეს“.¹⁶⁷

„აღარც კი ახსოვთ დღე, როცა აქ დიდის პატივისცემით და ზარ-ზეიმით შემოიყვანეს სტუმრათ ეხლანდელი პატიმარი“.¹⁶⁸

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ადგილის მიხედვით. მწერალი ხშირად ხმარობს „როცა“-ს.

¹⁶¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 8

¹⁶² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 28

¹⁶³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 323

¹⁶⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 36

¹⁶⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 348

¹⁶⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 175

¹⁶⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ 1958, გვ. 69

¹⁶⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 20

13. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მოქმედება მთავარ წინადადებაში.

ის მოგვიგებს კითხვებზე: როგორ?, რამდენჯერ?, რამდენად?

მთავარ წინადადებასთან ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს: რომ, როგორც, თითქოს, რამდენადაც, რამდენჯერაც და სხვა.

„ოთხი ცელი ელვარებდა ჰაერში, როგორც ელისათვის გამზადებული ჩაფხუტი“.¹⁶⁹

„თედო, როგორც კარგი დალალი, არიგებდა ქალებს“.¹⁷⁰

მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს შემდეგი ზმნიზედები: ისე, იმდენად, იმდენჯერ.

„არა, ქალი ვერ ცეკვავს ისე ეშხით, როგორც შეიძლებოდა, - ჟინიანად განიმეორა ელიმ“.¹⁷¹

„მთელი ეს საქმე თქვენს თავზე მიიღეთ და ისე მოაგვარეთ, როგორც გინდოდესთ“.¹⁷²

ერთმანეთთან შეპირისპირებით ვლელობთ ასეთ წყვილებს: ისე-რომ, ისე-როგორც, ისე-თითქოს, ისე-ვითომც, რამდენჯერაც-იმდენჯერ.

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში გვხვდება, როგორც მთავარი წინადადების როგორც თავში, ისე ბოლოში.

„მეთხუთმეტე ვერსტთან სვლა შეამცირე ისე, რომ გადმოხტომა შეიძლებოდეს“.¹⁷³

„როგორც გუშინდელი ამბავი, ყოველივე ისე ნათლად მახსოვს“.¹⁷⁴

¹⁶⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 130

¹⁷⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 319

¹⁷¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 159

¹⁷² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 231

¹⁷³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 235

¹⁷⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 114

„ტელეგრაფის მავთულებზე მწკრივით, როგორც მოწაფეები ქანდარაზე, უხმოდ ჩამომჯდარიყვნენ ფერადი ჩიტები“.¹⁷⁵

„მაშ, შემოჯექი ზურგზე, როგორც ვაჟები ჯდებიან ცხენზე, და ხელი მაგრად მომხვიე ყელზე“.¹⁷⁶

14. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს მიზეზს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. ის მოგვიგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო?

„ღმერთს მადლობას უძღვნიდნენ, რომ შეურაცხყოფისთვის არ ამოწყვიტეს“.¹⁷⁷

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებას მთავართან აერთებს კავშირები: რომ, იმიტომ რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი.

„არ დაგტანჯავ, რადგან არც მე ვიქნები ტანჯული“.¹⁷⁸

„რადგან მთვარე ყალბი ვარსკვლავი არის, ყოველ სიყალბეს ექონაგება“.¹⁷⁹

მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს: იმის გამო, ომიტომ, ამიტომ, ამის გამო, მაგრამ მწერლის ნაწარმოებებში ამის მაგალითებს არ ვხვდებით.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ქვეწყობილი წინადადების ბოლოში გვხვდება უფრო ხშირად და იშვითად შუაში.

„ღმერთს მადლობას უძღვნიდნენ, რომ შეურაცხყოფისთვის არ ამოწყვიტეს“.¹⁸⁰

„კოპი არ გაეკეთებია მოხუცს, რადგან ქვრივი იყო“.¹⁸¹

¹⁷⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 129

¹⁷⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 44

¹⁷⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 31

¹⁷⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 35

¹⁷⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 59

¹⁸⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 31

„დღეს, რადგან ახლოს გავლა მომიხდა, №№-თან შევედი, სუფრაზე ისხდნენ“.¹⁸²

15. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მიზანს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს კითხვებზე: რად? რა მოხდა? რისთვის?

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: რომ, რათა

მაგალითად: „სანამ ყმაწვილური ძილი არ მოერია, იულონი ფიქრობდა მასპინძელზე, რომელიც ვერ გატეხა ვერც ჟამთა სიავემ, ვერც სიღარიბემ და წმიდა ოცნებით გამსჭვალული თავის დარჩენილ ხელს ამოქმედებდა, რათა შთამომავლობისთვის „ერთობლივ საქართველოს“ სადიდებლათ გადაეცა ნაფიქრი და ნაგრძნობი“.¹⁸³

„ქალაქის თავმა მოითხოვა რამდენიმე წლის ანგარიშებიდან შეედგინათ ერთი მთლიანი ანგარიში, რისთვისაც საჭირო იყო დიდი წიგნის შეკვეთა“.¹⁸⁴

16. სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები

წინადადების წევრთა შინაარსის გადმომცემ დამოკიდებულ წინადადებათა გარდა, გვხვდება ისეთი დამოკიდებული წინადადებანი,

¹⁸¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 132

¹⁸² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 120

¹⁸³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 326

¹⁸⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 389

რომელთაც შესაბამისი წევრი არ გააჩნიათ. ასეთი სახის წინადადებებია: პირობითი, შედეგობითი და დათმობითი.

17. პირობითი დამოკიდებული წინადადება

პირობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს ან შეიძლება მომხდარიყო ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი.

პირობითი დამოკიდებული წინადადება განსხვავდება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათაგან იმით, რომ იგი სცილდება მარტივი წინადადების წევრის შინაარსის გაგებას და ქმნის პირობას, რომლის მიხედვითაც სრულდება მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედება. ურთიერთობა მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულ წინადადებას შორის ხშირად ასეთია: დამოკიდებულში პირობაა დასახელებული, მთავარში კი შედეგი.¹⁸⁵

პირობითი დამოკიდებულ წინადადება მოგვიგებს კითხვებზე: რა პირობებში? (ან რა შემთხვევაში?). მთავარს უკავშირდება კავშირებით: რომ, თუ, თუკი.

მაგ: „თუ თქვენგან მივიღე სასურველი დასტური, მაშინ მე დავთნხმდები და გადავალ იმ ადგილზე, თუ არადა...“¹⁸⁶

„თუ თაყვანს სცემდით, რათ არ უთხარით გასამხნეველად, რათ არ გამოუცხადეთ მაღლობა.“¹⁸⁷

„და თუ დაბეჯითებით მეტყვით როდისმე, ხვალ მოკვდებიო, ჩემს ორგანიზმზე არავითარ ცუდს გავლენას არ იქონიებს“.¹⁸⁸

„თუ რაიმე საჭიროებამ მოითხოვა, თქვენვე მოგმართავთ“.¹⁸⁹

¹⁸⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი, 1962, გვ. 107

¹⁸⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 308

¹⁸⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 9

¹⁸⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 70

¹⁸⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 301

18. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. მთავარი წინადადება პირველ ადგილზეა, დამოკიდებული - მეორეზე.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მიემართება მთელს მთავარ წინადადებას და არა მის რომელიმე წევრს. მთავარს ის უკავშირდება შემდეგი კავშირებით: ასე რომ, ამის გამო, რის გამოც.

მთავარ წინადადებასთან შედეგობითი დამოკიდებული წინადადება სუსტად არის დაკავშირებული.

შედეგობით დამოკიდებულ წინადადებას არ აქვს მიმართებითი სიტყვები, ვინაიდან შედეგი არ შეიძლება გამოიხატოს წინადადების უბრალო მეორეხარისხოვანი წევრით. მთავარი წინადადების გააზრებისთვის მათი ხმარება არ არის აუცილებელი.

19. დათმობითი დამოკიდებული წინადადება

დათმობითი დამოკიდებული წინადადება ისეთ რამეზე მიგვითითებს, რის მიხედვითაც მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბავი საერთოდ მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ალებულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია.

მთავარ წინადადებასთან აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადება შეერთებულია კავშირებით: თუმცა, თუმცაღა, მიუხედავად იმისა, რომ.

20. რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებიანი რთული

ქვეწყობილი წინადადება

რთული წინადადება შეიცავს ხშირად არა ერთ, არამედ რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი დაქვემდებარება ორგვარია:

1. რამდენიმე დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარება ერთ მთავართან და

2. რამდენიმე დამოკიდებული წინადადების თანამიმდევრული დაქვემდებარება.

მაგ: „ქალბატონ ელის გულზე აქვს საუნჯე, რომლის დახარჯვა არც კი შეიძლება ოთხი-ხუთი წელი, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ძლიერ შეზღუდულ მოთხოვნილებას“.¹⁹⁰

„როცა ინგლისელი ჯონ ჰექსლეი იმავე მოსახვევში შევიდა, სადაც ქალი მიიმალა, ჯიბიდან ამოიღო დურბინი და თვალი ძლივს მოკრა ქუდს“.¹⁹¹

დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ახლავს მთავარს, ორი სახისაა:

1. ერთგვარი და

2. არაერთგვარი.

ერთგვარია ერთ მთავართან დაკავშირებული რამდენიმე დამოკიდებული წინადადება, რომლებიც ერთსა და იმავე ტიპს განეკუთვნებიან. (მაგ: ყველა ქვემდებარულია, ან განსაზღვრებითი...)

მაგ: „ელიმ და ჰექსლეიმ კავკავშივე გადასწყვიტეს ზამთარი მიუნხენში გაეტარებინათ, სადაც სოფლური სიმშვიდე შეერთებულია მსოფლიო ქალაქის კულტურასთან და სადაც ხელოვნების საიდუმლოებანი მრავალ გასართობს უმზადებენ და საუცხოვო ჩარჩოთ ევლინებიან ქალ-ვაჟს“.

ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც თნწყობილთ, შეიძლება აერთებდეს კავშირები: მაქვემდებარებელი, მაპირისპირებელი და მაცალკავებელი.

„მე მგონია ამით უნდოდა მამამთილისთვის დაემტკიცებია, რომ მისი სიმდიდრე არაფრად მიაჩნია, რომ უიმისოდაც გაძლებს და იცხოვრებს.“¹⁹²

¹⁹⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 143

¹⁹¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 126

¹⁹² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 264

როცა ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა საკავშირებლად გამოყენებულია მიმართებითი ნაცვალსახელი, ეს უკანასკნელი შეიძლება სხვადასხვა ბრუნვაში იდგეს.

„და მდივანმა გადასცა განკარგულებები, რომელნიც მუსაიფის დროს გასცა პატრონმა და რომელსაც საჩქაროდ ბლოკნოტზე სწერდა მდივანი“.¹⁹³

ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები უსწრებენ მთავარს, ან მოსდევს, ან მთავარშია ყველა.

„მაგრამ როცა დანამდვილებით გაიგეს, რომ გაყოფა გადუვალიაო, ბევრი ჩაფიქრდა“.¹⁹⁴

„პატარა საბანი, რომელსაც ბატონი იმ იშვიათ შემთხვევაში ხმარობდა ლებათ, როცა ზევით ნაბადს გადაიხურავდა, ხურჯინში ჩასდევს, წელში ტამბაჩები გაიყარეს, ზურგზე თოკები გადაიგდეს და მზათ იყვნენ“.¹⁹⁵

„მეცნიერმა არც კი იცოდა, რომ სასახლეში იყო ადამიანი, რომელიც მეტოქეობას დაუძინებელ მტრათ გაეხადა და ახლაც წამალი საწამლავით შეეცვალა“.¹⁹⁶

არაერთგვარია ერთ მთავართან დაკავშირებული რამდენიმე დამოკიდებული წინადადება, რომლებიც სხვადასხვა ტიპს განეკუთვნება, ან ერთი ტიპისანი არიან, მაგრამ მიემართებიან მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს. გვხვდება რამდენიმე შემთხვევა:

1. მთავარი წინადადების ერთსა და იმავე წევრთან დაკავშირებულია ორი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება .

მაგ: „დიდი რომ შეიქმნება, მერე რავარც უნდა ისე ენას, მანამდის კი აქ ვილოღებ, სანამ ღმერთი არ წამიყვანს ჩემს საწყალ კაცთანო“.¹⁹⁷

„უკვირდა, თუ როგორ არ ეტაკებოდნენ ერთმანეთს მატარებლები, რამდენი ხალხი იმალებოდა შიგ და რამდენი გადმოხტებოდა გაჩერებისთანავე“.¹⁹⁸

¹⁹³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 170

¹⁹⁴ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 91

¹⁹⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 315

¹⁹⁶ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 263

¹⁹⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 210

2. მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს ახლავს რამდენიმე არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება.

„სანამ მივიწვევდი დასაჯდომათ და მოსვლის მიზანს ვკითხავდი, ბავშვმა დაინახა გადაშლილი წიგნი, რომელიც ჩემს გვერდით იდგა და მკითხა?“¹⁹⁹

3. მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართება ერთი და იმავე ტიპის წინადადებები.

4. უფრო რთულია ისეთი შემთხვევები, როცა მთავარი წინადადება შერწყმულია, რომლის ერთგვარ წევრებს ან სხვადასხვა წევრს ახლავს არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები.

„პარმენი კი სალამოს გაჰყვა სადგურამდე საბარგო მატარებელს და როცა განთიადისას უკან დაბრუნდა და კარები შეაღო და ფარანი შეაშუქა, პირველად დაინახა კუთხეში ჯირკზე მჯდომი შემხმარი ცრემლით შეთხუპნული პატარა ანიკო, რომელიც განუწყვეტლივ სასოწარკვეთით იძახოდა: „დედა მოდი“, „დედა მოდი“..“²⁰⁰

მთავარ წინადადებას შეიძლება ახლდეს ორზე მეტი არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებაც.

„მთვარიან ღამეში, თუ ვინმე მიაჩერდება ნანგრევის სამრეკლოს გუმბათს, ყოველთვის დაინახავს თმახუჭუჭა ბიჭს, რომელიც თოვზე მიცოცავს, რომ ზარის ენა დაარხიოსო“.²⁰¹

მთავარ წინადადებას შეიძლება ახლდეს რამდენიმე წყება არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებისა.

„არც კი შეუმჩნევია, რომ ჭიშკართანვე უცდიდენ მსახურნი, ჭადარაშერეული უფროსი ძიძიშვილი, რომელმაც საყვედურით შეხედა, რად არ გამომიყოლე თავიდანვე და თავი მაძებნინეო“.²⁰²

¹⁹⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 211

¹⁹⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ I, თბ, 1958, გვ. 154

²⁰⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 218

²⁰¹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 244

²⁰² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 408

მთავარ წინადადებას რომ რამდენიმე დამოკიდებული წინადადება დაექვემდებაროს, ამას თანადაქვემდებარებ ჰქვია, თვით დამოკიდებული წინადადება კი - თანადამოკიდებულნი.

21. თანამიმდევრული დაქვემდებარება

მთავრის დამოკიდებულს შეიძლება ახლდეს თავისივე დამოკიდებული, ამას თანამიმდევრული დაქვემდებარება ჰქვია.

თანამიმდევრული დაქვემდებარებისას ერთმანეთის მომდევნო სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც მთავარსა და მის დამოკიდებულს შორის.

მაგ: „მთვარიან ღამეში, თუ ვინმე მიაჩერდება ნანგრევის სამრეკლოს გუმბათს, ყოველთვის დაინახავს თმახუჭუჭა ბიჭს, რომელიც თოკზე მიცოცავს, რომ ზარის ენა დაარხიოსო“.²⁰³

ასე ფიქრობდა მზეხათუნი, როცა ჭიშკარში ჩამოვიდა პუპი და ისე დაადგა თავზე, რომ ფიქრში გართულს არ შეუმჩნევია“. (III, 383).

„მამ ასე, ხვალთან შეუდგებით ხომ მუშაობას?- ცოტა უფრო თავდაჭერილად დაამთავრა თავისი სიტყვა ბოქაულმა, რომელმაც სეატყო, რომ წინათ ნათქვამი საკმაოდ უხეში გამოდგა“. (III, 205).

„რა სასიამოვნოა- ამ სიცოცხლეგანაწამები კურდღლის დევნა, როცა თითქმის ნამდვილად იცით, რომ სადმე ხელიდან გაგიძვრებათ“ (III, 177)

²⁰³ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ, 1977, გვ. 444

„ერთხელ, როცა აივანზე ავდიოდი და პაპიროსის კვამლს შევცქეროდი, თავზე დამეცა ჭერიდან ჩამოვარდნილი ბუნდლიანი გამხმარი ტალახი, ჭერისკენ ახედვაც არ იყო საჭირო, რომ მივმხვდარიყავი, თუ საიდან გაჩნდა“. (II, 195)

ასეთ რთულ წინადადებებში შეიძლება დამოკიდებულები თავში იყოს, შეიძლება მოსდევდეს.

მაგ: „ბავშვები მაინც ისე გაერთნენ, რომ დაშლაზე არ ფიქრობდნენ, სანამ ვიღაც დედაკაცმა ქედიდან არ გადმოიძახა“. (III, 337)

22.სახელდებითი წინადადება

როგორც ჟუჟუნა ფეიქრიშვილი თავის „ქართული ენის სინტაქსში“ მიუთითებს, - ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, სახელდებითი ქვია უშემასმენლო წინადადებას, რომლის მთავარი წევრი (ქვემდებარე) გადმოცემულია სახელობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით ან სახელზმნით. მეორენაირად: სახელდებითია წინადადება, რომლითაც აღნიშნება ესა თუ ის მოვლენა რისამე მტკიცების გარეშე.

სახელდებითი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლიანია. მასში შემასმენელი არაა და გამოტოვებულადაც არ იგულისხმება. აქ მთავარი წევრი გადმოცემულია არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით. სწორედ ამის გამო უწოდებენ ნომინატიურ წინადადებასაც.

სახელდებითი წინადადება ყოველთვის წართქმითია. შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გავრცობილი.

სახელდებითი წინადადება აღნიშნავს საგანსა თუ მოვლენას ახლანდელ დროში. იგი ჩვეულებრივ გამოიყენება პოეტურ მეტყველებაში ბუნების სურათებისა თუ მოვლენის აღწერისას, უეცარი (სწრაფად ცვალებადი) მოვლენებისა და შემთხვევების გადმოსაცემად.

სახელდებით წინადადებას განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ რუსი სიმბოლისტები, მათი გავლენით - ქართველი ცისფერყანწელები.

სახელდებითი წინადადება ჩვეულებრივ თხრობითია, იშვიათად - მახილისა.

სახელდებითი წინადადების ერთ-ერთ სახედ თვლიან ნაწარმოების სათაურებს, დაწესებულების, ქუჩისა და სხვათა სახელწოდებებს, რომლებიც მყარ ერთეულად გვევლინებიან, სიტყვათშეხამებაში ერთი წევრის როლს ასრულებენ: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ქალაღის კაცი“, „დანგრეული ბუდეები“ და სხვა.

სახელდებითი წინადადება შეიძლება იყოს რთული წინადადების ნაწილი.

ტრადიციული გრამატიკის სახელმძღვანელოებში სახელდებითი წინადადება მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახედაა ჩათვლილი და განხილულია სრული და უსრული, გავრცობილი და გაუვრცობელი, უქვემდებარე წინადადების გვერდით. (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე)

როგორც წესი, სახელდებით წინადადებაში არ არის ზმნა-შემასმენელი, ამდენად ის წინადადებაც არ არის. მაგრამ იგი ლოგიკისტურ-ფსიქოლოგიკური სინტაქსის ნაშთია. სახელდებით წინადადებას შეიძლება პირობითად ეწოდოს წინადადება. მასში შემასმენელი მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს ასოციაციით.

აკ. დავითიანის აზრით, სახელდებითი წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია ცალკე წევრი (არაპრედიკატი) ან შესიტყვება, არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახედ, რადგან იგი მხოლოდ ასახელებს რაიმე ფაქტს და არ წარმოადგენს მსჯელობას, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული ემოცია-მოდალობა ახასიათებდეს.

სახელდებითი წინადადება არის უსრული წინადადების თავისებური სახე, მისი პარალელური სტილური ვარიანტი, რადგან აქაც აზრის შეტყობინება ხდება ნაკლული გრამატიკული ცენტრის მქონე ერთეულის საშუალებით (აკლია პრედიკატის კოორდინატი). რეალურად

წარმოდგენილია სახელები, რომლებიც ზოგჯერ იძლევიან ნორმალური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელ შესიტყვებას.²⁰⁴

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: - სახელდებითა წინადადება, რომლითაც აღნიშნება საგანი თუ მოვლენა რისიმე მტკიცების გარეშე. ასეთი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლიანია; მასში შემასმენელი არ არის და იგი არც გამოტოვებულად იგულისხმება. მთავარი წევრი გადმოცემულია არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით (მხოლობითსა თუ მრავლობითში), რის გამოც მას ნომინატიურ წინადადებასაც ეძახიან. მაგ: „სასადილო ოთახი. კანკელს საჩრდილობელი აფარია. მკრთალი სინათლე. სამოვრის ჩუხჩუხი არღვევს სიჩუმეს“ .²⁰⁵

სახელდებითი წინადადება ყოველთვის წართქმითია, გაუვრცობელი ან გავრცობილი. სასადილო ოთახი და მკრთალი სინათლე - გავრცობილი ატრიბუტული განსაზღვრებით. მომყოლი სიტყვა შეიძლება იყოს მართულიც.

სახელდებითი წინადადება აღნიშნავს საგანს თუ მოვლენას, რომელიც არის ახლანდელ დროში. იგი მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ბუნების მოვლენების თუ სურათის აღწერისას, უეცარი, სწრაფად ცვალებადი მოვლენებისა და შემთხვევების გადმოსაცემად და სხვა.

სახელდებით წინადადებას ზოგჯერ წინ უძღვის ჩვენებითი „სიტყვები“: აი, აჰა, ჰაი, ჰა...

სახელდებითი წინადადება წარმოითქმის თხრობითის ან ძახილის ინტონაციით. სახელდებითი წინადადება სეიძლება იყოს რთული წინადადების ნაწილი.

სახელდებით წინადადებას ჰგავს ნაწარმოების, დაწესებულების, მაღაზიის, ქუჩის სახელწოდება და სხვა.

²⁰⁴ ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996, გვ. 174

²⁰⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ, 1976, გვ. 334

ნაწარმოების სახელწოდება შემასმენლით ან შემასმენლის შემცველი წინადადებითაც გადმოიცემა.²⁰⁶

23. ზერთული წინადადება

რთული წინადადება ხშირად ერთდროულად თანწყობილიც არის და ქვეწყობილიც. ასეთ წინადადებას ზერთული ანუ ნარევი სახის რთული წინადადება ეწოდება. ასეთი სახის მთავარი წინადადების ნაწილები შეერთებულია მაჯგუფებელი ან მაპირისპირებელი კავშირებით.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ვხვდებით ისეთ რთულ წინადადებებს, როცა ან მთავარია შერწყმული, ან თანწყობილი, ან ქვეწყობილი წინადადება.

მაგ: „ელიმ შეამჩნია, რომ ყოველ ქალაქში, ყოველ გამოფენაზე ან თეატრში უეჭველად შეხვდებოდა ბრომლეის, რომელიც ღრმა პატივისცემით გზას დაუთმობდა, ქუდს მოუხდიდა და სხვა...“²⁰⁷

²⁰⁶ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1977, გვ. 211

²⁰⁷ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ. 1977, გვ. 143

„არ გაუვლია ორ წუთს, რომ კლდოვანი ნაპირი ტბისა, გვერდშეკბეჩილი მთა, საიდანაც წყალი ტალღით გამოიქცა, გადმოიზნიქა, გადმოიწია და ყირამალა ჩაწვა წყალში...“²⁰⁸

„ჯერ მზათ არ არის, - უპასუხებს უდარდელათ მდგომი მსახური, რომელიც მიხვდა, რომ შაქრო დიდი, საპატიო, ბევრის დამხარჯველი სტუმარი არ არის“.²⁰⁹

„მწერალი ნასიამოვნები იყო გაზეთის საქმის აფუშვით, რადგან ვერ მოახერხა ისეთი მოთხრობის დაწერა, სადაც არ ყოფილიყო არც ტრფიალი, არც ყვავილი, არც ბულბული დაარც პირბადრი მთვარე“.²¹⁰

დასკვნა

ქართულ მწერლობაში ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ნოვატორულია, მან შექმნა თავისთავად თვითმყოფადი, ორიგინალური პოეტური სამყარო. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ბელეტრისტიკაში ეპიკურ თხრობას, შემოქმედებას, სურათებისა და ეპიზოდების ხატვა, ფენომენალური ასახვა ყოფისა დაუპირისპირა. წინადადებათა ინტონაციურ მხარეს მეტი აზრობრივი დატვირთვა მისცა, მკითხველს ქვეტექსტი შესთავაზა. „მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაუთმო ფანტაზიისთვის, შემოქმედებისთვის... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება კი ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს.“ - წერდა მწერალი. მან ამ

²⁰⁸ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ. 1976, გვ.17

²⁰⁹ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ III, თბ. 1977, გვ. 280

²¹⁰ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ II, თბ. 1976, გვ. 289

ესთეტიკურ-თეორიული პრინციპის მხატვრული რეალიზება, მისი პრაქტიკული განხორციელება შეძლო. ამდენად, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სამყაროს საფუძვლიანად აღსაქმელად დახვეწილი გემოვნების მქონე მკითხველი სჭირდება.

ნიკო ლორთქიფანიძე ჭეშმარიტი ხელოვანი იყო, მოვლენებისა და საგნებისადმი ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულებით. მან, მართლაც ახალი სიტყვა თქვა ქართულ პროზაში: ახლებურად მიუდგა ტრადიციულ თემებს, მხატვრული განსახიერების ახალი საგანი შემოიტანა ქართულ მწერლობაში და ახალი შესატყვისი ფორმაც გამოუძებნა მას.

ნიკო ლორთქიფანიძის ფრაზები სტილიზებულია. ამასთანავე ზუსტი და ცხადი. მწერალი თავისებურად აგებს ფრაზას, წინადადებას და ცდილობს თავი აარიდოს კონსტრუირებას. მისი წინადადება მოკვთილია და მოქნილი, იგრძნობა შინაგანი რიტმი, ემოციურად დატვირთულ სტილს გვივლრნს სახელდებითი წინადადებები, რომლებიც ასე მრავლადაა მის ნოველებსა და მოთხრობებში. ყველაფერი ერთად - კონტრასტი სახელდებითსა და ზმნებით დატვირთულ სტრიქონებს შორის, წინადადებათა ხანმოკლე, უეცრად მოზღვავებული ზმნები, რიტმთა ნაირსახეობა და თხრობის სწრაფი ტემპი - ნ. ლორთქიფანიძის ნოველას უკიდურეს დინამიკურობას ანიჭებს.

აზრები შეკუმშულია და ლაკონური, მოკლე ფრაზებშია გამოხატული. ეს აღწერის უჩვეულო დინამიზმს ქმნის. მოჩვენებითი სიმარტივისა და უკიდურესი ლაკონიზმის მიღმა ღრმა აზრები იმალება. ჩნდება თავისებური სინტაქსი, პუნქტუაცია, აბზაცები, სტრიქონების უჩვეულო გრაფიკული განლაგება.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში დასტურდება თითქმის ყველა სახის თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადება სხვადასხვა რაოდენობით.

ყველაზე ხშირად გვხვდება: დამოკიდებული, პირდაპირდამატებითი, განსაზღვრებითი, ადგილის და დროის გარემოებითი, ასევე ერთ

მთავართან რამდენიმე დამოკიდებული, თანადაქვემდებარებული. მცირე რაოდენობით არის: ირიბდამატებითი, ვითარების გარემოებითი, მიზეზის, მიზნის გარემოებითი, პირობითი, ან სულ არ არის: უბრალო დამატებითი, შედეგობითი და დათმობითი, მთავრის მიმართი, მთავრის გარეშე, უკავშირო.

მწერალი უხვად იყენებს საკავშირებელ სიტყვებს, რომელთაგან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: რომ, როცა, რომელიც, სანამ...

მისათითებელი სიტყვებიდან გვხვდება: ის, იქ, ისე, იმ...

ხშირია შემთხვევა, როცა წინადადება და - კავშირით იწყება.

ადგილის მიხედვით დამოკიდებული წინადადება თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადების თავში და ბოლოში, შედარებით ნაკლებად - შუაში.

ხშირია შემთხვევა, როცა რთული ქვეწყობილი წინადადებით მთავარი ან დამოკიდებული წინადადება შერწყმულია ან თანწყობილი, გვხვდება კიდევ ისეთი შემთხვევაც, როცა ორივეა შერწყმული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. აბრამიშვილი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, ნიკო ლორთქიფანიძე, ნაკადული, თბ. 1977, გვ. 36
2. ე. აბრამიშვილი, დინჯად მივდივარ კეთილი საქმისთვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1982, 1
3. ვ. ახალაია, უიარაღოს თხზულებათა ენა და სტილი, თბილისი, 2004, გვ. 126
4. ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბ, 2004, 178
5. ნ. ბასილაია, უკავშირო რთული წინადადება, თბილისი, 1974, გვ.13
6. ა. ბენაშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1894, გვ. 30-31

7. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003
8. ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისთვის ძველ ქართულში, I, თბ. 1963, გვ. 196
9. ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, 1960
10. გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ. 1990. გვ. 207
11. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 311, 211, 330, 323, 328, 346.
12. ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1958
13. ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1976
14. ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1977
15. გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 32
16. ი. ნიკოლეიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, 1929
17. გ. როგავა. ჰიპოტაქსის საკითხებისთვის ქართულში, ქუთაისი, 1948, გვ. 24-26
18. ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1937
19. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996, გვ. 174, 236
20. ქართული გრამატიკა, თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, 1889
21. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 10, განათლება, ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, გვ. 236
22. ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, მეოთხე გამოცემა, ტფილისი, 1907, გვ. 22
23. ქართული გრამატიკა, თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, 1889, გვ. 39

24. ა. შანიძე, ნ. ბარათაშვილის ენა, ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1939, გვ. 149
25. ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, 1972, თბ. 1948
26. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, 1972, გვ. 77, 89, 107
27. ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1917
28. მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906